ალია

N95 (3025) 24 ივნისი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | **სამშაბათი ალია** | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან


## რა საფრთხე გვემუქრებათ კოსმეტოლოგიურ კაბინეტებში?



# „ოცნების“ დეპუტატის სკანდალური განცხადება



„ისინი უახლოეს ხანში ალაპარაკდებიან, არჩევნებამდე თავს იკავებდნენ“

## მინისტრებს პრემიებს პრემიერი მისცემს, თავად პრემიერს ვინ მისცემს პრემიას?



## ელიზბარ ჯაველიძე: „არადა, ირაკლი ღარიბაშვილი ერთადერთი კაცია, ვინც სიმართლეს ამბობს და ვინც მაგათ ებრძვის“



„თუ გახსოვთ, პრემიერმა იმთავითვე განაცხადა, არავითარი კოჰაბიტაცია, არავითარი მათთან საუბარი და მორიგება, მაგათი აზრი არ მაინტერესებს, რაც არ უნდა იყბედონო, მაგრამ პრემიერი, სამწუხაროდ, არის მარტო (ყვირის), მის გვერდით არ დგას არც პარლამენტი და არც „რესპუბლიკელები“

## რა მოხდა უკრაინის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე სააკაშვილის მისვლისას?



## რატომ ახმაურდნენ „ნაციონალები“ მეორე ტურის თარიღზე?



## ვის ინტერესებშია ემზარ კვიციანის ციხეში ყოფნა?



საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – ალვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ლეიბორისტული პარტია“ აჭარის საოლქო კომისიებს პროკურატურაში უჩივის




„ლეიბორისტული პარტიის“ წევრები აჭარაში მოქმედი 6-ვე საოლქო – საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვენ. პარტიის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარემ სარჩელი პროკურატურაში შეიტანა.

„ლეიბორისტები“ აცხადებენ, რომ აჭარაში არჩევნები გაყალბდა, რის გამოც პასუხი საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა აგოს. „მსგავსი შემთხვევები მხოლოდ ბათუმში არ ფიქსირდება. აჭარის პროკურატურას მივმართეთ, რათა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და პასუხისგებაში მიეცეს ყველა იმ საარჩევნო ოლქისა და უბნის ხელმძღვანელი პირები, რომლებიც გაყალბების პროცესში მონაწილეობდნენ“, – აცხადებს „ლეიბორისტული პარტიის“ აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით რობაქიძე. (კვირა.გე)

## მანანა ნაჭყებია: „ბევრგან ჩაგვჩეხეს“



„არასაპარლამენტო ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დაფიქსირებულ კანონდარღვევებზე საუბრობს და აცხადებს, რომ მათი პარტიის ყველა კონკურენტუნარიანი კანდიდატი ხელისუფლებამ წინასწარ ჩამოიშორა.

„ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ჩვენი კანდიდატი, რომელიც კონკურენტუნარიანი იყო, ხელისუფლებამ წინასწარ ჩამოიშორა. ბევრგან ჩაგვჩეხეს. ასე გაქრნენ ჩვენი მერობის კანდიდატები ახალციხეში, ფოთში, ზუგდიდში, ნინოწმინდაში. ხელისუფლების წარმომადგენლები ჩვენს კანდიდატებთან მიდიოდნენ გარიგებაზე და ეუბნებოდნენ, თუ არჩევნებს არ გამოეთიშებით, მთელ პარტიულ სიას ჩაგიხსნითო“, – აღნიშნა ნაჭყებიამ. (კვირა.გე)

## იმერეთში 13 წლის ბიჭმა 6 წლის გოგონას გაუპატიურება სცადა




გავრცელებული ინფორმაციით, ბაღდათის რაიონის სოფელ საიმედოში 13 წლის ბიჭმა 6 წლის თანასოფლელი გოგონას გაუპატიურება სცადა. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მევლუდ კიკნაველიძის ცნობით, შემთხვევა დაახლოებით ერთი კვირის წინ მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, გოგონასთვის ჩატარებული ექსპერტიზის თანახმად, მისი გაუპატიურება არ დასტურდება. თანასოფლელები 13 წლის ბიჭის ოჯახის სოფელ საიმედოდან გასახლების მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებენ. (კვირა.გე)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## იპოთეკით დაზარალებულებმა „ქართული ოცნების“ ოფისთან აქცია გამართეს



კოალიცია „ქართული ოცნების“ ოფისთან იპოთეკით დაზარალებულებმა აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები მმართველი გუნდისგან გრძელვადიანი დაბალპროცენტიანი სესხის მიღებაში დახმარებას ითხოვდნენ. აქციის მონაწილეებს უმრავლესობის ერთ-ერთი წევრი სოსო ჯაჭვლიანი შეხვდა და დაზარალებულების ათკაციან წარმომადგენლობას 25 ივნისისთვის შეხვედრას დაჰპირდა. „ხელით ვიჩხუბოთ ახლა? ჯერ გავარკვიოთ ყველაფერი. რაც მთავარია, არ მოგშორდებით, მიგყვებით და მოგყვებით ყველგან“, – განუცხადა აქციაზე შეკრებილებს სოსო ჯაჭვლიანმა. (კვირა.გე)

## „ნატო-მ საქართველოსთან მიმართებაში შეცდომა აღარ უნდა დაუშვას“



აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის ყოფილი თანაშემწე „როიტერის“ ინფორმაციას ეხმაურება, რომლის მიხედვით, საქართველო უელსის სამიტზე მაპ-ის ნაცვლად, გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტს მიიღებს.

მეთიუ ბრაიზას განცხადებით, „საქართველომ სამხედრო რეფორმის, ერაყსა და ავღანეთში ევროატლანტიკური უსაფრთხოების საქმეში შეტანილი წვლილისთვის მაპ-ი დაიმსახურა და უფრო მეტიც, საქართველოს ალიანსში გაწევრიანება ნატო-ს ინტერესებში შედის, რადგან მხოლოდ ეს ნაბიჯი იქნება საკმაოდ მკაფიო მესიჯი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის დასარწმუნებლად, რომ საქართველოში მის დამატებით სამხედრო ავანტიურას ნებისმიერი სარგებელი გადაწონის“.

„ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ევროპელი ჩინოვნიკი ნატო-ს გაფართოებას კვლავ ისე აღიქვამს, რომ პარალელურად როგორმე, საქართველოსა და უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესია გაამართლოს, გამოხატავს, რამდენად მომაბეზრებელია ისტორიის გაკვეთილები მრავალი ევროპელისთვის, რომლებიც რუსეთთან ბიზნესკავშირების წყალობით თავს ძალიან კომფორტულად გრძნობენ...

სოჭის ოლიმპიადის დროს, მათ ვერ გამოხატეს პოზიცია, რომ რუსეთის ჯარებმა საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინეს, რამაც პუტინს მიანიშნა, რომ ყირიმში შეჭრა შედარებით დაბალი რისკის შემცველი ოპერაცია იქნებოდა. 2008 წლის მარტში, ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე საქართველოს რომ მაპ-ი მიეღო, დარწმუნებული ვარ, რუსეთი აღარასდროს შეიჭრებოდა საქართველოში. ნატო-მ აღარ უნდა დაუშვას ეს შეცდომა მეორედ მაშინ, როცა პრეზიდენტი პუტინი ამოწმებს ნატო-ს ქმედებებს უკრაინასა და ატლანტიკური ალიანსის წევრ ქვეყნებთან მიმართებაში“, – აცხადებს ამერიკელი დიპლომატი. (პირველი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „თუ თანხების მოძრაობაში რაიმე არ მოეწონებათ, საკრებულოს უმრავლესობას მოჰკითხონ“



თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებლის სევდია უგრეხელიძის განცხადებით, თბილისის მერიაში დოკუმენტებისა და თანხების მოძრაობის კუთხით არანაირი პრობლემა არ არის.

„თუ იქნება რამე ასეთი პრობლემა, ეს საკრებულოს ბრალი იქნება. თუ თანხების მოძრაობაში რაიმე არ მოეწონებათ, მოჰკითხონ საკრებულოს უმრავლესობას და ბიუროს, რადგან ეს მათი ბრალი იქნება“, – განაცხადა უგრეხელიძემ.

მისივე თქმით, ხელისუფლება უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევს, როცა აცხადებს, რომ უგულავამ რაღაც თანხები პარტიის მიზნებისთვის გამოიყენა. გარდა ამისა, უგრეხელიძემ განაცხადა, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანიები თბილისის გზების სამუშაოებს არ აგრძელებენ, რადგან დაშინებულები არიან. „მათ ეშინიათ, რომ მოვა „ქართული ოცნება“ და პასუხს მოსთხოვს, თუ რატომ თანამშრომლობდნენ მერიის ამჟამინდელ ხელმძღვანელობასთან“, – განაცხადა უგრეხელიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## კულტურის სამინისტრო საყდრისზე სასამართლოს განჩინებას ელოდება



კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის, თემურ ჩიხლაძის თქმით, სასამართლომ გადაწყვეტილება 13 ივნისს გამოაცხადა და შესაბამისად, სამინისტროს ეს გადაწყვეტილება გამოცხადებიდან ორი კვირის ვადაში უნდა ჩაბარდეს.

როგორც ჩიხლაძემ აღნიშნა, საყდრისის საკითხზე სამინისტროში მსჯელობა სასამართლოს ოფიციალური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იქნება შესაძლებელი. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი კულტურის სამინისტროს სამართლებრივი აქტი, რომლის მიხედვითაც, საყდრისის საბადოს ისტორიული ძეგლის სტატუსი შეუჩერდა და ეს საკითხი სამინისტროს განსახილველად დაუბრუნდა, გამომდინარე იქიდან, რომ სამინისტროს გადაწყვეტილება პროცედურული დარღვევებით, არქეოლოგიური საბჭოს გარეშე იყო მიღებული. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მხარეებს დასაბუთებული გადაწყვეტილება 14 დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს. ეს ვადა კი 27 ივნისს იწურება. (ინტერპრესნიუსი)

## მეორე ტურის დანიშვნასთან ერთად, ძალადობის მეორე ტური გაიხსნა



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებას მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ მიმართულ თავდასხმებსა და ძალადობაში ადანაშაულებს.

დეპუტატმა გოგა ხაჩიძის განცხადებით, მათ მხარდამჭერს ლევან თორიას ფიზიკურად გაუსწორდნენ ზუგდიდში, ხოლო ბათუმში სცემეს ლევან ტეტემაძე.

„გვინდა, მოვუწოდოთ ხელისუფლებას, ნუ დაადგებიან ძალადობის გზას. არც ერთ შემთხვევაში დამნაშავე დაკავებული არ არის. არჩევნების მეორე ტურის დანიშვნასთან ერთად, პრაქტიკულად, გაიხსნა ძალადობის მეორე ტური, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში „ქართული ოცნების“ აქტივისტები ახორციელებენ. ამაზე თავად დაზარალებულები მიუთითებენ“, – განაცხადა ხაჩიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ტელეკომპანია „იმედში“ რეორგანიზაცია დაიწყო

„იმედის“ მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახურის უფროსი ბაია ცანავა პატარკაციშვილებთან ერთად სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გახდება. აღნიშნული გადაწყვეტილება „იმედის“ თანამშრომლებს სპეციალურ თათბირზე გააცნეს. ასევე, ცნობილი გახდა, რომ რეორგანიზაციის პროცესს ნათია აბრამია უხელმძღვანელებს.

რეორგანიზაციის ფარგლებში, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში გაგრძელდება, ეტაპობრივად განახლდება ტექნიკა, მიმდინარე წლის ზაფხულში თანამშრომლებისთვის ტრენინგები ჩატარდება, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად ახალ ტექნიკასთან მუშაობასაც შეისწავლიან. რეორგანიზაციის მიზანია, ტელეკომპანია მაუწყებლობის ახალ ეტაპზე გადავიდეს, შენარჩუნდეს გუნდური მუშაობა და საქმიანობა გაცილებით პროდუქტიული გახდეს.

ამასთანავე, არ არის გამორიცხული, რეორგანიზაციის ფარგლებში თანამშრომლების შემცირება განხორციელდეს. (პირველი)



შენ რა მდგომარეობაში ხარ, ანუ შიგნით რა გაქვს გადასახედი. ჩემი აზრით, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს ბევრად მეტი ყურადღების დათმობა მოუწევს პარტიის შიდა საქმეებისთვის, ვიდრე აქამდე აკეთებდა. აქამდე ის ცალსახად უჯერებდა ზოგიერთ შინაურს, რომელიც აწვდიდა ინფორმაციას, თითქოს ყველაფერი არის კარგად, მშვენივრად და ლამაზად. ფაქტია, ეს ასე არ აღმოჩნდა... 8 თვითმმართველ ქალაქში მეორე ტური დაინიშნა, 11 ოლქში გამგებლების ხელახალი არჩევნები დაინიშნა. ხონში მეოვნო რეაქცია გამოიწვია, როცა დავით ნარმანიას გამარჯვება ნაადრევად აღინიშნა. ვიღაცა არწმუნებს პრემიერ-მინისტრს, რომ ყველაფერი არის იდეალურად. ხალხზე ამან კარგად არ იმოქმედა, ახლა რომელ იუმორისტულ შოუსაც არ უნდა უყურო, სულ ამ თემის ირგვლივ ტრიალებენ.

**— პირად საუბარში გკითხე, სოსო ჯაჭვლიანის ინტერვიუ თუ წაიკითხე, რომელიც „ალიას“ წინა ნომერში გამოქვეყნდა-მეთქი? შენ მიპასუხე, ამ ინტერვიუს შემდეგ ჩვენ სასწრაფო წესით უნდა შევკრებილიყავით და ყველაფერი გაგვერკვია, მაგრამ ასე არ მოხდაო. რა გამოდის, კოალიციაში მაგრად ჰკიდიათ, მათი წევრები რას იტყვიან?**

– სოსო ჯაჭვლიანი არ არის საპარლამენტო უმრავლესობის რიგითი წევრი, ის არის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე. როდესაც ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე აკეთებს განცხადებას, რამე? კი, ბატონო, საკრებულოებში, მათ შორის თბილისშიც ჩვენი კანდიდატები გავიდნენ, გავიმარჯვეთ, მაგრამ არის საკითხები, რაც არ იმალება, ბევრი ისეთი გავიდა, ვისაც მე ახალი სახელი მოვუგონე და ახლა უნდა დავაპატენტო – მაგათ ჰქვიათ „ნაცოცები“. იცოცეს „ნაცებიდან“, გადმოცოცდნენ „ოცნებაში“, ახლა მანდატები ჩაიდეს ჯიბეში და არიან „ჩვენიანები“, 41 ნომერი უწერიათ. უკაცრავად, ეგენი ჩემიანები ვერასოდეს იქნებიან, ჩემიანები არიან ის ადამიანები, რომლებიც ქუჩაში დარჩნენ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს არაფერს ნიშნავს, ძალიან ცდება.

**— ისე, თბილისის საკრებულოში 80 პროცენტი ისევ ძველი „სასტავია“.**

– სულ მინდოდა, ამაზე მეთქვა და თავს ვიკავებდი... თუნდაც პრემიების ამბავი რას ჰგავდა? საკრებულოს წევრების საქციელი არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. დღეს პარლამენტის წევრებისგან ითხოვენ ძალიან დიდ პა-

# „ოცნების“ დეპუტატის სკანდალური განცხადება

## „ისინი უახლოეს ხანში ალაპარაკდებიან, არჩევნებამდე თავს იკავებდნენ“

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დათო ლორთქიფანიძე „ალიასთან“ საუბარში მორიგ სკანდალურ განცხადებებს აკეთებს. რა ელის დეპუტატს, თუ კოალიციაში რამე არ მოსწონს? მას მხოლოდ ერთ გზას უტოვებენ — უნდა წავიდეს. რა პრობლემებმა იჩინა თავი ადგილობრივი არჩევნების შემდეგ?**

**„ალიას“ დავით ლორთქიფანიძე ესაუბრა:**

– ამ გადასახედიდან ვფიქრობ, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა, მაგრამ უნდა დავფიქრდეთ, რატომ არ მოვიდა მოსახლეობა არჩევნებზე? ახლა რაც არ უნდა ვთქვათ და თავი ვიმართლოთ, ეს დამაფიქრებელი ფაქტია, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც სერიოზული სამუშაოები ჩაატარა ხელისუფლებამ – გლეხებს მიწები დაუხნა, დაუთესა და ასე შემდეგ. ხალხი რაღაც-რაღაცებზე გაბრაზდა იმიტომ, რომ ამ ხალხს ბევრი რამე კარგად ვერ გავაგებინეთ. ერთია, როცა დემოკრატიულ არჩევნებს ატარებ, მეორეა – ორე ტურში გავიდა ადამიანი, რომელიც ციხეში ზის. ეს არის „ნაცმოძრაობის“ კანდიდატი, ყოფილი გამგებელი, ჯიბუხაია. ამ ადამიანის მიმართ სასამართლოს განაჩენი ჯერ არ გამოუტანია, წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. თეორიულად თუ ვიმსჯელებთ, მას აქვს გამარჯვების შანსი და სასამართლო იძულებული გახდება, გაათავისუფლოს. კი, ბატონო, კანონი ასეთია და ყველა უნდა დავემორჩილოთ, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ციხეში მყოფი ადამიანი ამარცხებს სახელისუფლებო კანდიდატებსაც კი, ეს შენს სისუსტეზე მიანიშნებს, და არა მის სიძლიერეზე. მე არ ვარ ჩასაფრებული, თუ არ დავსხედით, თუ არ გავაანალიზეთ, რა მოხდა, წინ წაწევა გაგვიჭირდება.

**— დღეს ბევრი მიანიშნებს, რომ პრემიერ-მინისტრის გარემოცვა არის შესაცვლელი. შენც აღნიშნე, მცდარ ინფორმაციას აწვდიანო. იქნებ მითხრა, კონკრეტულად რა არის შესაცვლელი ღარიბაშვილის გარემოცვაში?**

– მაგალითად, საზოგადოებაში არასასიამრომ კოალიციაში ადამიანობის ფაქტორი მოიკოჭლებს, არ არის გუნდურობის განცდა, პრემიერ-მინისტრის გარემოცვაში არიან ვიღაცები, რომლებიც ფუთფუთებენ, მე ვფიქრობ, ეს სერიოზული განსჯის საგანია. საქართველოში არჩევნები დღეს არც დაწყებულა და არც დამთავრებულა, ჩვენ მოვდივართ 2012 წლის არჩევნებიდან და ამ მინდორზე იმდენი ნაღმია დარჩენილი, ზოგ ადგილში ჩვენ ავფეთქდით. თუ ახლა ნაღმებს არ მოვიშორებთ, მოვა კიდევ საპარლამენტო არჩევნები და უფრო ბევრ ადგილზე ავფეთქდებით. სოსო ჯაჭვლიანი ამათ ძალიან გაანაწყენეს ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების დროს, კაცს მოუგონეს, უბნებზე მთვრალი დადიხარო და ცნობაც კი აალებინეს, რომ მთვრალი არ იყო. სოსოს ეგონა, თუ მაშინ გაჩუმდებოდა, ადგილობრივ არჩევნებში სიტუაცია შეიცვლებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, არ შეიცვალა. მე ვარ, სოსო ჯაჭვლიანია თუ სხვები არიან, ამ ყველაფერზე პასუხები გვინდა, იქნებ ჩვენ დავაშავეთ სუხისმგებლობას და ბევრს ჰგონია, რომ ამ ქვეყანაში ბოროტების სათავეები ვართ ჩვენ. ამ დროს, რასაც დეპუტატები ვიღებთ ერთი წლის განმავლობაში, ამდენს ჩვენი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი იღებს ერთ თვეში. ჯერ კიდევ 8 თვის წინ გამოვედი პარლამენტში და ვთქვი: სასწრაფოდ უნდა გადაისინჯოს სახელმწიფო შპს-ების საქმეები, ამ დაწესებულებებში ხელფასები აქვთ 150-200 ათასი ლარი წელიწადში. მაშინ წინადადებაც მქონდა, შესაბამისმა კომიტეტებმა დაუძახონ ამ შპს-ების ხელმძღვანელებს და მოვისმინოთ ანგარიში, რა ისეთ სამუშაოებს ასრულებენ, რომ ამდენი ფული მიაქვთ სახლში? ეს არის სრული ანომალია, ეს პატარა ქვეყანაა, არაფერი არ იმალება, რატომ ვიყენებთ თავს უხერხულ მდგომარეობაში? საკრებულოს ერთ-

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საკრებულოებში 1049 ადგილიდან 811-ს „ქართული ოცნების“ გამარჯვებული მაჟორიტარები დაიკავებენ




2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მთელი ქვეყნის მასშტაბით გამარჯვებულ მაჟორიტართა უმრავლესობა „ქართული ოცნების“ კანდიდატია.

საკრებულოებში სულ 1049 მაჟორიტარის ადგილია. არჩევნების შედეგები ასე გამოიყურება: „ქართული ოცნება“ – 811 ადგილი (77,31%); საინიციატივო ჯგუფები – 128 (12,2%); „ნაციონალური მოძრაობა“ – 64 (6,1%); „ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“ – 28 (2,67%); „პატრიოტთა ალიანსი“ – 3 (0,29%).

რა ხდება რაიონებში, სადაც გამგებლის თანამდებობაზე იყო ბრძოლა გაჩაღებული?

საგარეჯო – გიორგი გზირიშვილი, გურჯაანი – გივი გერგიძე, სიღნაღი – დავით ჯანიკაშვილი, დედოფლისწყარო – ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ლაგოდეხი – კარლო ჯამბურია.

ყვარელი (მეორე ტური) – ალექსანდრე შათირიშვილი („ქართული ოცნება“), ხატია დეკანოიძე („ნაცმოძრაობა“).

თელავი (მეორე ტური) – ალექსანდრე შათირიშვილი („ქართული ოცნება“), გიორგი ბოტკოველი („ნაციონალური მოძრაობა“).

ახმეტა (მეორე ტური) – ბექა ბაიდაური („ქართული ოცნება“), ზურაბ ფილაშვილი („ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“).

თიანეთი (მეორე ტური) – ლელა ქიტესაშვილი („ქართული ოცნება“), ილია არჩემაშვილი („ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“).

გორი (მეორე ტური) – დავით ონიაშვილი
(„ქართული ოცნება“) ბონდო ვათიაშვილი („ქართული პარტია“).

ასპინძა (მეორე ტური) – ლევან ცაბაძე („ქართული ოცნება“), ბესიკ ბექაური („ნაციონალური მოძრაობა“),

თერჯოლა – კოალიციის კანდიდატი თეიმურაზ ჯაფარიძე დაუპირისპირდება „ნაციონალ“ ტარიელ ფანჩულიძეს.

ბაღდათი – „ოცნების“ კანდიდატი ირაკლი გეგეშიძე „საქართველოს გზის“ კანდიდატს, მევლუდ კიკნაველიძეს.

ხონი – კოალიციიდან ჯემალ მებუკე დაუპირისპირდება „ნაციონალ“ ზურაბ ჯიბუხაიას.

ტყიბული – „ქართული ოცნების“ კანდიდატი რობიზონ გვენეტაძე – „ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ კანდიდატს, თენგიზ ჭიქაბერიძეს.

ლანჩხუთი – „ქართული ოცნების“ კანდიდატი ზაზა ურუშაძე „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატს ბარნაბ ჭყონიას.

სენაკი – კოალიციის კანდიდატი გოჩა დგებუაძე – „ნაციონალ“ ზურაბ სანაიას.

მარტვილი – კოალიციის კანდიდატი ალექსანდრე გრილავა – „ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციიდან“ დავით ინჯიას.

ქობულეთი – „ოცნების“ კანდიდატი სულხან ევგენიძე – „ნაციონალ“ რევაზ ხარაზს.

ხულო – „ოცნების“ კანდიდატი ბესიკ ბაუჩაძე „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატს, ემზარ ბოლქვაძეს. (რეპორტიორი)

## კოალიცია „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“ 20 000 ლარით დაჯარიმდა



საქმე ეხება სააგიტაციო მასალების გამოყენებას. კოალიცია ჯერ კიდევ არჩევნებამდე აუდიტის სამსახურის სარჩელის საფუძველზე 65 000 ლარით დაჯარიმდა.

„ჩვენი პარტიის დაჯარიმების პროცესი კვლავ გრძელდება, ამჯერად საქმე ეხება სააგიტაციო მასალების გამოყენებას, ანუ პლაკატების ისტორიას. სამწუხაროა, რომ სასამართლოების მხრიდან არც ერთი ჩვენი არგუმენტი არ იქნა გათვალისწინებული, მხოლოდ იმ მოტივით, რომ მოსამართლე თვლის, რადგან, ამა თუ იმ ადგილზე პლაკატი კოალიცია „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციას“ ეკუთვნის, ყველა შემთხვევაში ჩვენი ბრალეულობა თითქოსდა დასაბუთებული უნდა იყოს.

ჩვენ მოვითხოვთ, ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებამ ყველა პლაკატის დაცვაზე პასუხისმგებლობა აიღოს, ასევე იმაზეც, რომ აკონტროლოს, ვინ როდის გადააკრავს პლაკატს, ან ვინ როდის ჩამოხევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული კანონი გამოყენებული იქნება სწორედ იმისთვის, რისთვისაც ეს თავის დროზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო, კერძოდ, პოლიტიკური პარტიის ფინანსური განადგურებისთვის.

ჩვენ უკვე დაგვეკისრა ძველ 65 000-ს დამატებული 20 000 ლარის ოდენობის ჯარიმა, არ გამოვრიცხავ, რომ მათი რაოდენობა გაიზარდოს და იმ ვითარებაში, როდესაც ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაცია ყველაზე ნაკლებადაა დაფინანსებული და ჯარიმების რიცხვი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, ჩვენ შეიძლება შემდეგი საარჩევნო კამპანიისთვის ელემენტარული სახსრების გარეშე აღმოვჩნდეთ“, – განაცხადა ბურჯანაძემ. (რეპორტიორი)

## მუხრან ბურჭულაძე აეროპორტში გაჩხრიკეს



„დემოკრატიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ თავმჯდომარე მუხრან ბურჭულაძე, რომელიც უკრაინიდან საქართველოში ბრუნდებოდა თბილისის აეროპორტში გაჩხრიკეს. ამის შესახებ მან სოციალური ქსელის მეშვეობით „დაპოსტა“: „ბარგი გულმოდგინედ გაჩხრიკეს, გაუცრუვდათ იმედი, ელშოკი არ მქონდა თან“. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

ერთ წევრს უთქვამს, რა ვქნა, პრემია გამომიწერეს და ავიღეო. ეს ადამიანი ისევ საკრებულოში ზის. თითქოს კანონი არ ირღვევა და ამით სარგებლობენ. დადიან სადღაც საუდის არაბეთში, ჩინეთში, ამერიკაში, ვითომ რაღაცას სწავლობენ. რამდენიმე დღის წინ ალეკო ელისაშვილს ვუსმენდი რადიოში, რომელიც ამბობდა: საკრებულოში ისევ ის ხალხი



„აგერ, სოსო ჯაჭვლიანიც კი მივიდა იმ ზღვარზე, რომ სატკივარი ვეღარ დამალა. ისე, ძალიან კარგია, რომ ვეღარ დამალა, ორი წლის განმავლობაში ითმენდა. მე ამას ველოდი, რადგან კარგად ვიცი, იქ რა იყო, როგორ იყო, რა ლაპარაკი ჰქონდათ და რაზე შეთანხმდნენ. შეთანხმების არც ერთი პუნქტი არ შესრულდა“

შემოვიდა, ვისაც უსაშველო პრემიები აქვს აღებული, მაგ პრემიებს ცხვირიდან ძმრად წამოვადენო. თუ ალეკო ამას გააკეთებს, საზოგადოებას ძალიან მოეწონება და ბუნებრივია, ჩვენს რეიტინგზე უარყოფითად იმოქმედებს. ამიტომ ვამბობ, პრემიერ-მინისტრს გვერდში უნდა ჰყავდეს დაფიქრებული და სერიოზული ადამიანები, მარჯვენა ხელმა უნდა იცოდეს, რას აკეთებს მარცხენა ხელი. ირაკლი ახალგაზრდა კაცია და მინდა, რომ წარმატებული პრემიერ-მინისტრი იყოს, მაგრამ თუ მას იმის საშუალებას არ მისცემენ, დეპუტატებს დაელაპარაკოს, მაშინ არაფერი გამოვა. მე 1994-1998 წლების მოწვევის პარლამენტის წევრიც ვიყავი და კარგად მახსოვს, შევარდნაძეს ოპოზიციონერი დეპუტატებიც კი ხვდებოდნენ, შეიძლება ბევრი არ ეხატებოდა გულზე და არც პატივისცემა ჰქონდა, მაგრამ რაღაც საკითხებზე ხვდებოდა. თუ დღეს პარტიის ლიდერი თავის დეპუტატებს არ შეხვდა, არ დაელაპარაკა, სიტუაცია უფრო გართულდება. მე მგონია, ჩვენ, „ქართული ოცნების“ დეპუტატებს მეტის გაკეთება შეგვიძლია, ვიდრე ამის საშუალებას გვაძლევენ. როდესაც მე ვამბობდი, ვანში ასეთ ხალხს ნუ აყენებთ კანდიდატებად-მეთქი, არ მომისმინეს, რვა კანდიდატიდან ოთხმა წააგო და აღმოვჩნდი მართალი. როდესაც მეუბნებიან, თქვენი ხედვა წარმოგვიდგინეთ, რეკომენდაციები მოგვიტანეთო, ამ ყველაფერს რომ გააკეთებ და არაფერს არ გაითვალისწინებენ, როგორ უნდა მოიქცე? იცი, რა გააკეთა ზოგიერთმა „ნაციონალმა“, რომლებიც „ოცნებაში“ გადმობარგდნენ 2012 წლის შემდეგ? შემოვიდნენ ჩვენთან, თავი გადაირჩინეს და ამ არჩევნებში კენჭი იყარეს ბურჯანაძის პარტიიდან. ეს არ არის განსახილველი საკითხი? როცა ვამბობდი, ეს ხალხი ჩვენ არ გამოგვადგება-მეთქი, მაშინ რატომ იბზუებდნენ ცხვირს? ეს არ არის ერთეული შემთხვევა, სწორედ ამან გამოიწვია მეორე ტურები, ამან გამოიწვია ნიჰილიზმი და ასე შემდეგ. აგერ, სოსო ჯაჭვლიანიც კი მივიდა იმ ზღვარზე, რომ სატკივარი ვეღარ დამალა. ისე, ძალიან კარგია, რომ ვეღარ დამალა, ორი წლის განმავლობაში ითმენდა. მე ამას ველოდი, რადგან კარგად ვიცი, იქ რა იყო, როგორ იყო, რა ლაპარაკი ჰქონდათ და რაზე შეთანხმდნენ. შეთანხმების არც ერთი პუნქტი არ შესრულდა. მეტსაც გეტყვი, თუ რომელიმე დეპუტატს რამე არ მოსწონს, ამისთვის არსებობს მხოლოდ ერთი გზა – ის უნდა წავიდეს. ბოდიში, რააა... ჩვენ პარლამენტში არ მივსულვართ რევერანსებისთვის და რაღაცების მოსაწონებლად, ჩვენ მივედით ქვეყნის ასაშენებლად. მე ხაზგასმით ვამბობ: კოალიციიდან ის ხალხი კი არ უნდა წავიდეს, ვისაც გული სტკივა და პრობლემებზე ლაპარაკობს, არამედ ის ხალხი უნდა წავიდეს, ვინც ამას ხელს უშლის!

**— ეს უკვე სკანდალური განცხადებაა.**

— დიახ, ის ხალხი უნდა დაფიქრდეს და თქვას: ბიჭებო, ძმებო, რაღაცები შეგვეშალა და მოდით, გამოვასწოროთ. შენ იცი, რომ მე მქონდა პრეტენზიები იმ ადამიანთან, რომელიც შარშან დანიშნეს გამგებლად ვანში, ეს არც დამიმალავს. ჩემი პრეტენზიები გამართლდა, ამ არჩევნებში იმ კაცის კანდიდატურა აღარ დააყენეს. მე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს, მაქვს სხვა პრეტენზიებიც: 20-მდე პროექტი შევიდა თავის დროზე ნარმანიას უწყებაში, ანუ ინფრასტრუქტურის სამინისტროში ჩემი რაიონიდან. ეს პროექტები სახელმწიფომ დააფინანსა და 2013 წელს გზების დაგებაში უნდა დახარჯულიყო მილიონ 600 ათასი ლარი. ოთხი გზა იყო გასაკეთებელი. რაღაცა დაიწყეს ფინაჩურად და საერთოდ მიანებეს თავი.

**— თანხები გადაირიცხა?**

– კი, გადაირიცხა და სწორედ ეს უნდა გამოიძიოს ახლა პროკურატურამ. ამ საკითხს მე აუცილებლად დავაყენებ. მე ვიყავი ასული სოფლებში და ხალხს დავპირდი, რომ გზები გაკეთდებოდა. მოიტანეს ქვიშა, გაშალეს და დაანებეს თავი, ეს ქვიშა წაიღო წვიმამ. ყველაფერი უნდა დასრულებულიყო 2013 წლის ოქტომბერში. გაკეთდა მხოლოდ ორი გზა, რომელიც ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას. ეს ხალხი მხარს გვიჭერდა, გახარებული ადამიანები ლამის ხელზე მკოცნიდნენ, მაგრამ ახლა თავი უნდა ვიმართლო ვიღაცების უნიათობისა თუ ფულისმოყვარეობის გამო? ეს არ არის მხოლოდ ვანის პრობლემა, ჩემი კოლეგები რატომღაც არ ლაპარაკობენ. მე ვიცი, რომ ისინი უახლოეს ხანში ალაპარაკდებიან, არჩევნებამდე თავს იკავებდნენ.



**„ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს ბევრად მეტი ყურადღების დათმობა მოუწევს პარტიის შიდა საქმეებისთვის, ვიდრე აქამდე აკეთებდა. აქამდე ის ცალსახად უჯერებდა ზოგიერთ შინაურს, რომელიც აწვდიდა ინფორმაციას, თითქოს ყველაფერი არის კარგად, მშვენივრად და ლამაზად. ფაქტია, ეს ასე არ აღმოჩნდა...“**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თენგიზ კიტოვანის ბრალდებები „ნაციონალურ მოძრაობას“




თავდაცვის ყოფილი მინისტრი თენგიზ კიტოვანი აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, საქართველოში, „ევრომაიდანის“ მოწყობას აპირებს.

ყოფილმა მინისტრმა ბაქოში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით განაცხადა: „შესაძლოა, მათ უკვე ბევრი თანხა აქვთ შემოტანილი და ამით უნდათ ახალი „მაიდანი“ მოაწყონ. ძალიან ყურადღებით უნდა იყვნენ ჩვენი სამართალდამცველები. „ნაციონალები“ ისევ ქვეყნის სათავეში დაბრუნებას და ახალი პრეზიდენტის დანიშვნას აპირებენ. ჩვენი დეპუტატები, შემთხვევით დააკავეს აეროპორტში, მაგრამ თანხა სადღაც გაქრა. რა გარანტია გვაქვს, რომ ეს თანხა არ შემოვა და ახალი უკრაინა არ იქნება საქართველოში?! ამდენი უბედურების მოწმე ვარ და არ მინდა, საქართველოში არეულობა დაიწყოს და ისევ „ნაციონალები“ მოვიდნენ სათავეში!“ – განაცხადა კიტოვანმა. (ნიუპოსტი)

## „ქართულმა ოცნებამ“ შემოწირული თანხები უკან დააბრუნა

კოალიცია „ქართული ოცნება“ სახელმწიფო აუდიტის მონიტორინგის სამსახურის განცხადებას ეხმაურება. როგორც კოალიციის განცხადებაშია აღნიშნული, მმართველმა პარტიამ შემოწირული თანხები უკან დაუბრუნა.

„მიმდინარე წლის 20 ივნისს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ანგარიშზე შპს „დუგლაძეების ღვინის კომპანიამ“ და „ჯეოსპირტპრომმა“ განახორციელა შემოწირულობა – თითოეულმა 20 000-20 000 ლარის ოდენობით.

20 ივნისს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა წერილობით გვაცნობა, რომ აღნიშნული კომპანიების მიერ განხორციელებული შემოწირულობით, ორგანული კანონის 25-ე მუხლის მეორე „ბ“ პუნქტით დადგენილი ნორმა დარღვა, რასაც ჩვენი მხრიდან მოჰყვა მყისიერი რეაგირება და ორივე კომპანიას, იმავე დღეს უკან დაუბრუნდა მათი მხრიდან შემოწირული 20 000-20 000 ლარი, რაზეც არსებობს შესაბამისი საგადასახადო დავალება.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ანგარიში ღიაა და ნებისმიერ მოქალაქეს ან იურიდიულ პირს შეუძლია, კანონით დადგენილი წესით განახორციელოს შემოწირულობა.

საარჩევნო სუბიექტი არ არის ვალდებული, გააკონტროლოს, ვისი მხრიდან ხორციელდება შემოწირულობა. ამას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, კერძოდ, პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახური ახორციელებს“, – აღნიშნულია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## „მთავრობამ მიიღო ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზურაბ აბაშიძე პრემიებთან დაკავშირებით არსებულ მითქმა-მოთქმას ეხმაურება.

„მთავრობამ მიიღო ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება პრემირების სისტემის მოგვარებასთან დაკავშირებით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უწყების ხელმძღვანელი თავისთვის პრემიის გამოწერის საკითხს ვერ გადაწყვეტს, ხოლო მის დაქვემდებარებულ უწყებაში პრემიების გაცემას მხოლოდ კვარტალში ერთხელ შეძლებს, ისიც პრემია არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობრივ სარგოს. ეს ძალიან სწორი მიდგომაა, რადგან ჩვენ გვქონდა პრეცედენტები და ბოლო შემთხვევაც გახსოვთ, როდესაც საჯარო მოხელის მიერ აღებული პრემია ბევრად აღემატებოდა მის ხელფასს.

მთავარი არის მიმართვა, რომ თვითმმართველობის ორგანოებმა გაითვალისწინონ ის სტანდარტები, რომელსაც აწესებს მთავრობა თავისთვის. სასურველი იქნება, თვითმმართველობაც ამ სისტემაზე გადავიდეს. რაც შეეხება ხელისუფლების სხვა შტოებს, საკანონმდებლო ხელისუფლებას ჩვენი საპრემიო დღის წესრიგი გვაქვს – პარლამენტარები არანაირ პრემიებს არ ვიღებთ, მხოლოდ აპარატის თანამშრომლები კვარტალურად იღებენ პრემიას. რაც შეეხება სასამართლოს, ბუნებრივია, იგი თვითონ გადაწყვეტს თავის საპრემიო სისტემას. დარწმუნებული ვარ, თვითმმართველობის ორგანოები გაითვალისწინებენ მთავრობის მიმართვას ახალ საპრემიო სისტემასთან დაკავშირებით. ეს კარგი სარეკომენდაციო ღონისძიებაა მათთვის და კარგია, მათაც იგივე პრინციპით იხელმძღვანელონ, რითაც მთავრობა ხელმძღვანელობს“, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ. (ნიუპოსტი)

## „სახელმწიფო სტრუქტურები გაკოტრდება ადამიანური რესურსებისგან“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი სესიაშვილი პრემიებთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს და აცხადებს:

„ძალიან რთულია, სახელმწიფო სამსახურში დაასაქმო პროფესიონალი კადრი, თუ ის არ დააინტერესე. ამიტომ მიმაჩნია, რომ პრემიებთან დაკავშირებით ძალიან მკაცრმა წესებმა შეიძლება, წარმოქმნას კადრების გადინების პრობლემა. როგორც კი სახელმწიფოში ბიზნესი გაძლიერდება და ის შესთავაზებს დასასაქმებელს უკეთეს პირობებს, უკეთეს ხელფასს, უკეთეს სამუშაო გარემოს, ვიდრე სახელმწიფო სტრუქტურებშია, ჩათვალეთ, რომ სახელმწიფო სტრუქტურები გაკოტრდება ადამიანური რესურსებისგან“. – განაცხადა სესიაშვილმა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რატომ ახმაურდნენ „ნაციონალები“ მეორე ტურის თარიღზე?

**„ალიას“ ესაუბრება ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე, გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი:**

**— ქალბატონო ნანა, მეორე ტურის თარიღზე რატომ ახმაურდნენ „ნაციონალები“, გვითხარით, როდის ტარდებაო. ხომ კარგად იციან, სანამ სასამართლო პროცესები არ დასრულდება, მანამდე თარიღს ვერ დანიშნავენ.**

– „ნაციონალები“, ფაქტია, ხვდებიან, რომ დრო მათ საწინააღმდეგოდ მუშაობს. თავის დროზე 2003 წელს ისეთი საარჩევნო კოდექსი მიიღეს, ყველა პუნქტი რომ დაგეცვა, არჩევნებს ვერ ჩაატარებდი. ახლაც ასეა. პროცედურებია გასავლელი, მათ შორის სასამართლო განხილვები. მოსამართლეს ვერ ეტყვი, დღესვე მომეცი პასუხებიო. სანამ ყველა ეს პროცედურა არ ჩამთავრდება, თარიღს ვერ დაადგენენ. ესენი ასეთივე ისტერიკას მართავდნენ ნომრის მიკუთვნებაზეც და ყველაფერზე. საქმე ისაა, რომ, თუ არჩევნების მეორე ტური ივლისის ბოლოს დაინიშნა, პირველ ტურში ხომ ისედაც ცოტა ამომრჩეველი მივიდა და მეორე ტურში კიდევ უფრო ნაკლები მივა. ივლისის ბოლოს, ვისაც ბავშვები ჰყავს და

**მივიდა. თქვენი აზრით, მეორე ტურში რა მოხდება?**

– მეორე ტურში მივა შედარებით მცირე ამომრჩეველი, ეს ყოველთვის ასეა ხოლმე. მაგრამ მაინც მივა ხალხი, თუნდაც იმიტომ, რომ არმისვლით მელიამ არ იხეიროს, უფრო სწორად კი ზოგადად „ნაციონალების“ კანდიდატებმა არ იხეირონ. მე ვვარაუდობ, რომ „ნაციონალები“ ვერც ერთ კანდიდატს ვერ გაიყვანენ. მოგების დიდი შანსი აქვთ ბურჯანაძის კოალიციას და „პატრიოტთა ალიანსს“.

**— ბაქოს ინციდენტზე რამე ახალი ინფორმაცია ხომ არ გაქვთ? ახლა რომ ამბობენ, ფული არ გვქონიაო, 4 საათი რატომ გააჩერეს აბა?**

– ჯერ ერთი, არანაირი ვიპ-გასასვლელი არ მოქმედებს არადეკლარირებულ თანხაზე და მით უმეტეს, ამ რაოდენობის თანხაზე. არც ერთ ქვეყანაში მილიონ დოლარს არავინ გაგატანინებს საზღვარგარეთ. ეს უკვე წარმოშობს დიდ ეჭვებს თანხის წარმომავლობის შესახებ. 21-ე საუკუნეში ასე მხოლოდ „შავ ფულს“ ატარებენ, რომელიც, როგორც წესი, ან ცუდი საქმისთვის არის გამიზნული, ან ცუდი საქმიდან არის მიღებული. ბილეთები, თუ ყველაფერი სწორად ჰქონდათ? რომც არ ყოფილიყო ზარი ალიევთან, ჩვენი მეზობელი სახელმწიფოა, შენი ქვეყნის დეპუტატს არავინ ჩააყენებს ასეთ მდგომარეობაში, რომ მერე ამან იმოქმედოს ქვეყნებს შორის ურთიერთობაზე. გააჩერეს, ეს თანხა ამათ დააბრუნეს იქ, საიდანაც მოჰქონდათ და არადეკლარირებული თანხის გარეშე უკვე გამოუშვეს საზღვარზე.

**— ხომ იცოდნენ, რომ ეს თანხა პრობლემებს შექმნიდა, რატომ გარისკეს, რა იმედით?**

– დიპლომატიური პასპორტის იმედით. რატომ გიკვირთ მათგან ეს ამბავი? ეს ის ხალხია, რომელსაც სისხლში გაუჯდა დაუსჯელობის სინდრომი, ახლაც იგივე განცდა აქვთ.

**— ეს „შავი ფული“ რისთვის სჭირდებოდათ, თქვენი აზრით? თუ არჩევნებისთვის უნდოდათ, არჩევნებისთვის ფული ხომ ისედაც აქვთ, საშაროდ საქმედ ღირდა?**

– აქვთ ფული არჩევნებისთვის, მაგრამ ამზადებენ გამოსვლებს. რომ ამბობენ, შემოდგომაზე ხალხი აქციებს დაიწყებსო, ჩვენ კი შევუერთდებითო. ხალხს ეგენი კაფეში ვერ

ოდნავ აქვს საშუალება, ქალაქიდან გადის. ამიტომ ივლისის ბოლოსთვის მათი მობილიზებული ამომრჩეველი შეიძლება ველარ მიიყვანონ უბანზე. ამიტომ აქვთ გართულება იმაზე, უფრო დაბალი მაჩვენებელი არ მიიღოს.

**— ამ ლოგიკით, ვერც „ოცნება“ იხეირებს თარიღის გადაწევით...**

– კი, რა თქმა უნდა, მაგრამ „ნაციონალებს“ ხმაურის მეტი რა შერჩენიათ? ჯერ იყო და ამ მილიონის გადმოტანაზე ისეთი ამბავი ატეხეს, თითქოს მე დავიჭირე ირინა სარიშვილი, ფული და ოქრო შემოჰქონდაო.

**— პირველ ტურზე 70%-მდე ამომრჩეველი არ**

დან არის მიღებული. ეს ყველაფერი სიმართლეს ჰგავს, რასაც ამბობენ. ზოგი იმას ამბობს, აქ შემოეყვანათ და აქ ჩამოერთმიათ ფულიო. ელემენტარულად, აზერბაიჯანელი მებაჟე არ გამოატარებდა საზღვარზე ამხელა თანხას. ერთხელ მქონდა ასეთი ინციდენტი და მიხვდებით, რასაც ვგულისხმობ მაგათ ისტერიკასთან მიმართებაში. მოვდივარ დუშანბედან, რეისმა დააგვიანა და ვერ მოვასწარი მოსკოვი-თბილისის რეისზე. ავიაკომპანიამ ამინაზღაურა, მიყიდა ბილეთი, დამაბინავა და კვებაც უზრუნველყო, იმიტომ, რომ მათი ბრალი იყო. ესენი რატომ გამოვიდნენ ქალაქში, მერე დაბრუნდნენ და იყიდეს თავისი ფულით

უერთდებიან ისე, რომ თავი არ გაუტეხოს ვინმე გამწარებულმა და ქუჩაში შეუერთდებიან? ერთი ძალიან მაინტერესებს, რომელ ხალხს შეუერთდებიან? 10 კაცი რომ იყოს გამოსული, 5 მაგათგან გამწარებულია და ვერ გაასწრებენ იქიდან.

**— ისედაც მძიმე ფონია და ნიშნისმოგებითი რიტორიკა უფრო არ ამძიმებს? ხალხის ემოციას ცდიან?**

– რა თქმა უნდა, ეს არის მაგათი აპროპირებული თამაში, თუ ხელი მოხვდათ, ესენი არიან დაჩაგრულების მანტიაში, „ევროპის სახალხო

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ქართული ოცნების“ ოფისში პოლიტიკური საბჭოს სხდომა გაიმართა



საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში კოალიციის პოლიტიკური საბჭოს სხდომა გაიმართა. საბჭოს წევრებმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული საკითხები და საარჩევნო შტაბის საორგანიზაციო თემები განიხილეს. სხდომაზე საუბარი შეეხო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ რუმინეთში განხორციელებულ ვიზიტს. პოლიტსაბჭოს წევრებმა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შესახებაც იმსჯელეს და განაცხადეს, რომ 27 ივნისს საქართველოს ევროპული არჩევანი საბოლოოდ განმტკიცდება. (რეპორტიორი)

## რიკოთის გვირაბში რამდენიმე დღით მოძრაობა შეიზღუდება



თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 143-ე კმ-ზე მდებარე რიკოთის საავტომობილო გვირაბში გეგმიური დასუფთავების სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით მოძრაობა შეიზღუდება. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობა განხორციელდება რიკოთის საავტომობილო გვირაბის შემოსავლელ გზაზე.

კლიმატური პირობების გაუარესების შემთხვევებში ავტოტრანსპორტის მოძრაობა განხორციელდება გვირაბის გავლით 24 საათის განმავლობაში.

გვირაბის მოვლა-შენახვის ფარგლებში გეგმიური დასუფთავების სამუშაოები წელიწადში 2-ჯერ ტარდება. (ნიუპოსტი)

## მერვეკლასელ ბიჭს მდინარეში გული გაუჩერდა




ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძში 22 ივნისს ტრაგიკული შემთხვევა მოხდა. მერვეკლასელი ბიჭი მდინარე ჯუმში საბანაოდ შევიდა, რა დროსაც გული გაუჩერდა და გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილი ზუგდიდში ერთ-ერთი საავტორო სკოლის დამფუძნებლის ზურაბ კუპრეიშვილის შვილია. შსს-ს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)



ხრამი-1 KHRAMI-1

**სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს ფასთა ღია გამოკითხვას ტოიოტა პრადოსა და ტოიოტა რავ 4-ის ტიპის ავტომანქანების გაყიდვასთან დაკავშირებით:**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა/ფიზიკურმა პირებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1’’-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7/6

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 8 ივლისი 15 საათი.*

ხრამი-2 KHRAMI-2

**სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს ფასთა ღია გამოკითხვას ტოიოტა ლენდკრუიზერ 100-ის ტიპის ავტომანქანის გაყიდვასთან დაკავშირებით:**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა/ფიზიკურმა პირებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2’’-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7/6

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 8 ივლისი 15 საათი.*

*მეხუთე გვერდიდან*

პარტია“ ლამის ფეხით ჩამოვიდეს აქ. ასე თუ ისე, ძალადობით ხელისუფლების შენარჩუნებას „ნაციონალები“ ახერხებდნენ, მარნეულში, თუ ზუგდიდში ჩატარებულ ტაქტიკას ერთი ერთში იმეორებენ, როგორც მოვიდნენ 2003 წელს ხელისუფლებაში. ძალადობითა და ქვის სროლით არიან მოსულები და ამ ტაქტიკას არ ღალატობენ არც დღეს. ახლო მომავალში მათი ხელისუფლებაში მობრუნება ფანტასტიკის სფეროა და ეს ყველაზე კარგად თვითონ იციან. ახლა ერთადერთი გზა რჩება, უმტ-



**„არც ერთ ქვეყანაში მილიონ დოლარს არავინ გაგატანინებს საზღვარგარეთ. ეს უკვე წარმოშობს დიდ ეჭვებს თანხის წარმომავლობის შესახებ. 21-ე საუკუნეში ასე მხოლოდ „შავ ფულს“ ატარებენ, რომელიც, როგორც წესი, ან ცუდი საქმისთვის არის გამიზნული, ან ცუდი საქმიდან არის მიღებული“**

კიცონ ოკეანის გაღმა პარტნიორებს, რომ მათი ერთგული არიან და მათ ხაზს ატარებენ უკრაინაში. ძალიან მეცნო ერთი ტექსტი, პოროშენკომ გამოსვლისას თქვა, მე ვიცი, როგორ უნდა დავძლიოთ კორუფცია, ერთი ციტატა მაქვს სინგაპურის ლიდერისგან, რომ 3-4 ჩემი მეგობარი უნდა დავიჭირო კორუფციაზეო. ხომ არ გეცნოთ ტექსტი?

**— სააკაშვილის რჩევები შეეტყო?**

– ჰო, იაროს სააკაშვილის რჩევებით უკრაინამ და რაც მოუვა, მერე თავის თავს დააბრალოს, თორემ სააკაშვილი გაასწრებს იქიდან.

**— წეღან თქვით, „ნაციონალები“ ცდილობენ ამერიკელებს ერთგულება დაუმტკიცონო. არაერთი ექსპერტისგან მომისმენია „ნაცმოძრაობას“ აღარ სწყალობენო.**

– რეალურად ამერიკის პოლიტიკურ ელიტაში მათ დასაყრდენი ჰყავთ ისინი, ვისაც არ ემეტება ესენი გადასაგდებად და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ „ოცნება“ ამ კოჰაბიტაციის გზას დასდგომოდა. ამათ ავიწყდებათ ერთი რამ, რომ ის, ვინც მაგათ ვერ იტანდა და ახლა „ოცნებით“ უკმაყოფილოა, მაგათ არ აპარპაშებს.

**— რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციას. კარგით, ამომრჩეველი განაწყენებულა „ნაციონალებზეც“, „ოცნებაზეც“, მაგრამ ამ არჩევნებზე არმისულთა 70%-მა უარი არასაპარლამენტო ოპოზიციასაც უთხრა.**

– საქმე ისაა, რომ ოპოზიციამ ვერ მოახერხა მობილიზებულად ხალხის გამოყვანა. ამას აქვს ძალიან ობიექტური მიზეზები, პირველი ის, რომ ეს არ იყო სამკვდრო-სასიცოცხლო არჩევნები. საერთოდ, ადგილობრივ არჩევნებზე გაცილებით ნაკლები ადამიანი დადის, ვიდრე სხვა არჩევნებზე. მეორე და მნიშვნელოვანი, რამდენი სურათიც არ უნდა მიამაგრონ იმ სიებს, 3 მილიონ 700 000 ამომრჩეველი რომ არ არის საქართველოში, ყველამ ძალიან კარგად იცის. მათ შორის არიან ადამიანები, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ. იყო ფაქტები, ეს ხალხი თავისი ხარჯით ჩამოვიდა, რომ რეჟიმი მოეშორებინა და ხმა მიეცა „ოცნებისთვის“. ეს 70% არის იმ არარეალურად გაბერილი სიიდან, თორემ ნაკლებია არმისულების პროცენტი. მიმაჩნია, რომ არასაპარლამენტოებმა კარგი შედეგები აჩვენეს.

**— კი მაგრამ, ორივე პოლიტიკურ ძალაზე გაბრაზებულს მესამე ძალისთვის არ უნდა მიეცა ხმა, ლოგიკურად?**

– აქ დიდი როლი ითამაშა ასეთმა რამემ: ბურჯანაძე გამოვიდა ცალკე, „პატრიოტთა ალიანსი“ – ცალკე, კუკავა – ცალკე. ამ უკანასკნელმა დიდი შეცდომა დაუშვა, როცა გაერთიანდა ისეთ ძალასთან, რომლის ლოზუნგები კატეგორიულად შეუთავსებელი იყო. კუკავა ამბობდა – „არა ნატოს“, რომლის გამოც მას ხმას აძლევდნენ, „მემარჯვენეები“ კი ნატოში ინტეგრაციის მომხრე იყვნენ. ესე იგი, ამომრჩეველი დაიბნა, თუ გუშინ ნატო არ გინდოდა, დღეს რატომ მოგინდა? კუკავამ ამის გამო ბევრი ხმა დაკარგა. მათ რომ მოეხერხებინათ გაერთიანება, გაცილებით კარგი შედეგი იქნებოდა.



**„კუკავამ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა გაერთიანდა ისეთ ძალასთან, რომლის ლოზუნგები კატეგორიულად შეუთავსებელი იყო. კუკავა ამბობდა — „არა ნატოს“, რომლის გამოც მას ხმას აძლევდნენ, „მემარჯვენეები“ კი ნატოში ინტეგრაციის მომხრე იყვნენ“**

**— ქალბატონო ნანა, საუბარი დაიწყო იმაზე, რომ არჩევნებზე მისვლა სავალდებულო უნდა გახდეს, ძალით ხალხის მიყვანას უბანზე რა აზრი აქვს? თუ განწყობა არ მაქვს მივალ და მაინც გავაფუჭებ ბიულეტენს, რამე იცვლება ამით?**

– ერთი პერიოდი შალვა ნათელაშვილი ითხოვდა ამას, რომ სავალდებულო ყოფილიყო არჩევნებში მონაწილეობა. ძალიან საკამათო თემაა. ძალით მიყვანა არაა გარანტია იმისა, რომ ან შენ მოგცემს ხმას, ან სხვას. მეორე – სახელმწიფო, რომელსაც ყველა ვალდებულებაზე უარი აქვს ნათქვამი ადამიანის წინაშე, ისევ ადამიანს ავალდებულებს, შენ ჩემთვის ეს უნდა გააკეთოო. არჩევნებზე არმისვლა პასიური პროტესტია და სიგნალი უნდა იყოს ხელისუფლებისთვის. თუ ახლა ამათაც „ნაციონალებივით“ დაიწყეს ჯარიმებით ბიუჯეტის შევსება, კიდევ უარესი მაგათთვის.

**— მეორე ტურამდე სულ უფრო ხშირად ისმება კითხვა, რამდენი ამომრჩეველი არ უნდა მივიდეს, რომ არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდეს?**

– ერთიც რომ მივიდეს, ჩატარებულად ითვლება. „ნაციონალებმა“ მიიღეს ეს კანონი, რევოლუციის მერე, ჭიაბერაშვილის დროს მიიღეს ეს კანონი.

**— კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ხშირად ისმის კითხვა: როცა მაჟორიტარს ვირჩევთ და აღმოჩნდება, რომ არ გაამართლა ჩვენი ნდობა, უკან გაწვევა რატომ არ შეგვიძლია? ეს საკითხი არაერთხელ დაგვისვამს დეპუტატებისთვის, მაგრამ არგუმენტირებული პასუხი ვერ მიგვიღია.**

– ასეთი მექანიზმის არსებობას ადამიანები ხშირად ითხოვენ, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ამით შეიძლება ხელისუფლებაში მყოფმა ძალამ ისარგებლოს. მას შეუძლია, ისეთი დეპუტატი მოიშოროს, რომელიც ხელს უშლის. ერთი წამალია, აირჩიე 4 წლით, როცა ვადა გაუვა, უნდა იცოდე, რომ ის და მისი წარმდგენი აღარ აირჩიო. ერთი ფაქტი გამახსენდა, 1998 წელს, უმრავლესობით მოვიდა ოპოზიცია, აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერმა, რომლის სახელსა და გვარს არ დავასახელებ ახლა, საკრებულოში რომ შედიოდნენ, ყველას დააწერინა უთარიღო განცხადება, რომ პირადი სურვილით იხსნიდა საკრებულოს დეპუტატის უფლებამოსილებას. ამ განცხადებით იჭერდა მათ, რომ რამე ცუდი არ გაეკეთებინათ. მე მაშინ საკრებულოს მდივანი ვიყავი და მომიტანეს ერთ-ერთი ასეთი განცხადება. ასეთი უკანონობის ფაქტებიც იყო, ამიტომ ამის წამალი ისევე არ იცი, როგორც ის, როცა თხოვდები და არ გაქვს გარანტია, ქმარი გამოგადგება თუ არა.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „საქართველოს შესახებ დასკვნა ძალიან პოზიტიურია“



ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, ჯეიმს აპატურაის განცხადებით:

„მინისტრებს ჯერჯერობით დეტალური განხილვა არ დაუწყიათ. შემიძლია გითხრათ, რომ დასკვნა, რომელიც მოვამზადეთ საქართველოს შესახებ, არის ძალიან პოზიტიური, ვინაიდან ბევრი რამ გაკეთდა და არჩევნებმაც პოზიტიური როლი ითამაშა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ვიქნებით უფრო მეტად დაკავშირებული, ამ პაკეტმა შეიძლება მოიცვას ბევრი ელემენტი. საქართველო უნდა ელოდოს მეტ მხარდაჭერას, ნატო-ს მეტ წარმომადგენელს საქართველოში, მეტ შესაძლებლობას მჭიდრო თანამშრომლობისთვის. დარწმუნებული ვარ, იქნება მეტი კოოპერაცია, მაგრამ რა ჩაიწერება იმ პროცესის ასახვისთვის, რასაც საქართველომ მიაღწია, ამ კვირაში მინისტრები განიხილავენ. კომუნიკეს პირველადი ვერსია მზად იქნება ორი კვირით ადრე სამიტამდე. ასე რომ, დრო ჯერ არის“, – განაცხადა აპატურაიმ. (ნიუპოსტი)

## ომბუდსმენი რუსეთს, ცხინვალსა და საქართველოს შსს-ს მიმართავს



სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართავს.

„სახალხო დამცველს დაუკავშირდა ახალგორში გაუჩინარებული გ.ბ.-ს ოჯახის ახლობელი. მათი განცხადებით, ამა წლის 4 ივნისს, 20 წლის გ. ბ. და დ.ა. სამსახურიდან წაიყვანეს ახალგორის დე ფაქტო მილიციაში დასაკითხად როგორც ქურდობაში ეჭვმიტანილი. დ.ა დაკითხვის შემდეგ გამოუშვეს. გ.ბ. ბოლოს დ.ა.-მ სწორედ მილიციაში ნახა. მას შემდეგ მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ოჯახის ინფორმაციით, იგი გამომძიებელს არ დაუკითხავს. დღის ბოლოს, კი გ.ბ.-ს პირადი ნივთები მილიციამ ოჯახის შორეულ ნათესავს მიუტანა სახლში. ახლობლების განცხადებით, ახალგორის დე ფაქტო მილიცია ოჯახს ეუბნება, რომ გ.ბ სახლთან დატოვეს და იგი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდა. სახალხო დამცველის ინფორმაციით, საქმეს იძიებს დე ფაქტო საგამოძიებო სტრუქტურები, ასევე, საქმის კურსშია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაც, თუმცა მათ ახალგორში შესვლის საშუალება არ აქვთ. სახალხო დამცველი მიმართავს, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მოახდინონ დაკარგულის მოძიებაზე დროული და ეფექტური რეაგირება და ითანამშრომლონ დაკარგულის ადგილსამყოფელის დასადგენად“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## „ქართული ოცნების“ აქტივისტები მაჭავარიანის განცხადებას „უსინდისო ბრალდებას“ უწოდებენ




„ქართული ოცნების“ აქტივისტები დავით ლორია და ჯემალ დუაძე „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტზე თავდასხმის შესახებ პარტიის ერთ-ერთი ლიდერის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებას გამოეხმაურნენ. მათი განცხადებით, 21 ივნისს ტეტემაძის ცემის შემდეგ მათთან მუქარის ზარები განხორციელდა და მათი მისამართით აგრესიას „ნაციონალური მოძრაობა“ მიზანმიმართულად გამოხატავს.

ჯემალ დუაძე და დავით ლორია ბათუმის ცენტრში გიგი უგულავას, გიგა ბოკერიას და გიორგი ბარამიძის წინასაარჩევნო შეხვედრაზე მომხდარ ინციდენტსაც ეხმაურებიან და აცხადებენ, რომ 7 ივნისს მომხდარ შეხლა-შემოხლას კავშირი არ აქვს ტეტემაძის ცემის ფაქტთან.

„მიხეილ მაჭავარიანმა თქვა, რომ ლევან ტეტემაძის ცემის ფაქტი დაკავშირებულია 7 ივნისს მომხდარ ინციდენტთან. როცა ისინი ირწმუნებიან, რომ თითქოს ამის მონაწილეები ვიყავით ჩვენ ან ჩვენი ორგანიზებული იყო, ამის შემდეგ ჩვენი მისამართით მოდის მუქარები. ეს განცხადებები გაკეთდა მათი წევრების მისამართით, რომ ჩვენზე განხორციელდეს შურისძიება, ფიზიკური დაპირისპირება“, – აღნიშნა დავით ლორიამ.

ჯემალ დუაძე კი მიხეილ მაჭავარიანის განცხადებას „უსინდისო ბრალდებას“ უწოდებს:

„რამდენიმე დღეა, ჩვენი მისამართით ირიბი განცხადებები კეთდება. მიხეილ მაჭავარიანმა პირდაპირ უსინდისოდ დაგვდო ბრალი, თითქოსდა ჩვენ ვიყავით ლევან ტეტემაძის ცემის ორგანიზატორები. ჩვენ ვგმობთ ყოველგვარ ძალადობას. ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ სტილი და მეთოდი, ასე მართავდნენ წლების განმავლობაში ქვეყანას. ეს არის მათი პროვოცირებული, რადგან წინასაარჩევნოდ საზოგადოებას და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოაჩვენონ, თითქოს ისინი არიან რეპრესირებულნი და იდევნებიან“, – აღნიშნა დუაძემ. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# ელიზბარ ჯაველიძე: „არადა, ირაკლი ღარიბაშვილი ერთადერთი კაცია, ვინც სიმართლეს ამბობს და ვინც მაგათ ებრძვის“

**„თუ გახსოვთ, პრემიერმა იმთავითვე განაცხადა, არავითარი კოჰაბიტაცია, არავითარი მათთან საუბარი და მორიგება, მაგათი აზრი არ მაინტერესებს, რაც არ უნდა იყბედონო, მაგრამ პრემიერი, სამწუხაროდ, არის მარტო (ყვირის), მის გვერდით არ დგას არც პარლამენტი და არც „რესპუბლიკელები“**




„ალიას“ ესაუბრება „სახალხო კრების“ წარმომადგენელი ელიზბარ ჯაველიძე:

**— როგორც ვიცი, „სახალხო კრებას“ იმედი ჰქონდა, რომ მეორე ადგილზე გავიდოდა. რა მოხდა, როგორ ფიქრობთ?**

– ორგანიზება არ იყო საკმარისი, ასევე პიარი არ იყო, მე ასე მგონია, ყოველ შემთხვევაში. ამავე დროს, ტრაგიკული და საგანგაშო ის არის, რომ ხალხს აქვს უკვე შეგრძნება, ხმა რომ მივცე, მიზანს მაინც ვერ მივაღწევო, რადგანაც ყველაფერი იწერება საზღვარგარეთ, კერძოდ, ამერიკაში და ამ შეკვეთას ასრულებენ აქ მისი შემსრულებლები. ამიტომ ის მდგომარეობა, რაც დადგა, ჩემთვის სავსებით გასაგები იყო. თუმცა, როცა დადგა საკითხი „ნაციონალების“ ყოფნა-არყოფნისა, ქართველი ხალხი მაშინ გამოვიდა და თავისი სიტყვა თქვა, გამოვიდა ქუდზე კაცი და გააკეთდა ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეგვეძლო. ხალხმა იფიქრა, რომ შავი ჭირი მოიშორა, მაგრამ მას „ლებედ, რაკ და შუკა“, ყველაფერი ბოლოს ამით მთავრდება.

ამ კოჰაბიტაციამ საერთოდ დაანგრია ყველაფერი, ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა, რაც დაუშვა ხელისუფლებამ. იცით, რა გამკვირვებია? გამოდის გოგორიშვილი, ბებერ ტურას რომ დამსგავსებია, დგას და წივის და კივის, რომ ხდება გაყალბებაო. ის 4 არჩევანი, რაც ჩატარდა მაგათ ხელში, „ნაციონალური მოძრაობის“ დამხობის შემდეგ, ვისი გაყალბებულია, ჰკითხეთ ერთი მაგას, ეგ არის პირველი დამნაშავე, ეგ უნდა ჩამოკიდო ხეზე. დღეს დამდგარა და გვარიგებს ჭკუას, თურმე როგორ უნდა ჩატარდეს არჩევნები. ეგ არის პირველი ქურდი, ქართველ მოსახლეობას ეგ ჰპარავდა ხმებს. იქიდან გამომდინარეა მერე, რომ ქართველ ხალხს ალარაფერი ალარ სწამს, ეს არის დიდი ტრაგედია ჩვენთვის, რადგანაც საქართველოს ემუქრება კიდევ უფრო ბევრი რამ, გადაგვარებას ვგულისხმობ. მივაღწიეთ კი შემდეგ მთავრობას ამერიკამ უთხრა, რომ ის სისტემა, რომელიც შექმნილია სააკაშვილის მიერ, შეინარჩუნეთო და ასეც გრძელდება. ამიტომ, ეს ხალხი არჩევნებზე არ გამოვიდა იმიტომ არა, რომ ოპოზიციას მხარს არ უჭერდა, მაგრამ აქ ოპოზიციის ბრალიც არის, აქამდე, რაც თავი მახსოვს, ვერ მოხერხდა ოპოზიციის გაერთიანება. სულ იძახიან, – უნდა გავერთიანდეთ, უნდა გავერთიანდეთო, ბოლოს კი ეს ერთობა იშლება, როგორც კრილოვის იგავი რომ არის, არა, გადავგვარდით უკვე და სადღაც ხრამში ვართ ჩავარდნილი. ეს გოგორიშვილები, ეს უგულავა და ესენი ციხეში რომ უნდა ისხდნენ და უნდა ხეხავდნენ იმას, რა ჰქვია...

**— „პარაშას“...**

– „პარაშას“ არ ვიხმარ, ქურდობას დამაბრალებენ, საპირფარეშოებს. ყელყელაობენ და ჭკუას გვარიგებენ და ეს ყველაფერი გულის ამრევია.

**— პრემიერი შანსს არ უშვებს, რომ „ნაციონალებს“ არ დაარტყას, ფაქტობრივად, ყველა გამოსვლაში „ნაციონალებს“ უტევს.**

– აი, პრემიერია ზუსტად სწორ პოზიციაზე. თუ გახსოვთ, პრემიერმა იმთავითვე განაცხადა, არავითარი კოჰაბიტაცია, არავითარი მათთან საუბარი და მორიგება, მაგათი აზრი არ მაინტერესებს, რაც არ უნდა იყბედონო, მაგრამ პრემიერი, სამწუხაროდ, არის მარტო (ყვირის), მის გვერდით არ დგას არც პარლამენტი და არც „რესპუბლიკელები“, რომლებიც ყოველთვის თავის თამაშს თამაშობდნენ, იქ არის კიდევ გარკვეული დაჯგუფებები, არადა, ირაკლი ღარიბაშვილი ერთადერთი კაცია, ვინც სიმართლეს ამბობს და ვინც მაგათ ებრძვის. არის რაღაც გარკვეული ჯგუფი, რომელიც ირაკლის მხარს უჭერს, მაგრამ ცოტანი არიან. დარწმუნებული ვარ, თუ ამ 6 თვის მანძილზე კატეგორიულად არ მოხდა „ოცნების“ რიგების წმენდა, ჩათვალეთ, რომ საქართველოში მოდის უარესი ძალა, ეს უბრალო „ნაციონალები“ არ არიან, ესენი არიან ზენაციონალები, რომლებიც ზურგმოცემულები არიან ევროპიდან თუ ამერიკიდან! მოგვდგებიან ესენი და ჩაგვხოცავენ! როგორც ხალხი ამოწყვიტეს ოდესაში, აი, ისე და ამაზე რომ ხმას არ იღებს არც დემოკრატიული ევროპა და არც დემოკრატიის სიმბოლო – ამერიკა, აი, ეგეთი დღე გველის ჩვენ. მაგრამ, რასაც ვუყურებ, ქართველი ხალხი ისეა შემართული, ერთი პატარა ნაპერწკალია საჭირო, ერთს ისეთს იფეთქებს, რომ ველარავინ მოარჯულებს.



**„გამოდის გოგორიშვილი, ბებერ ტურას რომ დამსგავსებია, დგას და წივის და კივის, რომ ხდება გაყალბებაო. ის 4 არჩევანი, რაც ჩატარდა მაგათ ხელში, „ნაციონალური მოძრაობის“ დამხობის შემდეგ, ვისი გაყალბებულია, ჰკითხეთ ერთი მაგას, ეგ არის პირველი დამნაშავე, ეგ უნდა ჩამოკიდო ხეზე“**

**— ნახეთ, როგორ დალაგდა სიტუაცია, ჯაჭვლიანმა ამხილა „ოცნება“ და საკმაოდ მკაცრად ილაპარაკა შეუსრულებელ დაპირებებზე, აგერ, მერაბ შათირიშვილი გამოვიდა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები მოითხოვა. თქვენ რას აპირებთ, 2016 წლისთვის ბაზა ხომ უნდა შექმნათ, „სახალხო კრების“ მოქმედება მაინტერესებს...**

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ევროკავშირი ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ განცხადებას ავრცელებს



განცხადებაში ხაზგასმულია, რომ დადებითი ცვლილებები ამ ხელშეკრულების ხელის მოწერისა და განხორციელების შემდეგ ძალიან მალე შეიგრძნობა.

„ასოცირების ხელშეკრულება მიზნად ისახავს, გააღრმავოს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები ევროკავშირსა და სხვა ხელმომწერებს შორის და ეტაპობრივად მოახდინოს მათი ინტეგრირება ევროკავშირის შიდა ბაზართან, რომელიც ყველაზე დიდია მსოფლიოში. ამას მოჰყვება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სფერო ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის.

ეს ყოველივე ხელს შეუწყობს ვაჭრობასა და ინვესტიციების განხორციელებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომელსაც სჭირდება უფრო მეტი უცხოური ინვესტიცია საკუთარი ეკონომიკური ზრდისთვის ხელშესაწყობად. ქართული საწარმოებისთვის ევროკავშირის ბაზარი ხელმისაწვდომი იქნება გარდამავალი პერიოდების გარეშე. თუმცა, ისიც მართალია, რომ საქართველოს დამატებითი სარგებელი დამოკიდებულია რეფორმების განხორციელებაზე. ასოცირების ხელშეკრულება საქართველოსთან მნიშვნელოვნად განსხვავდება ეკონომიკური ინტეგრაციის კლასიკური ფორმებისგან, სთავაზობს რა მას არა მხოლოდ გაუმჯობესებულ ვაჭრობასა და ინვესტიციის შესაძლებლობებს, არამედ – დახმარებას ვაჭრობასთან დაკავშირებულ რეფორმებში იმ მიზნით, რომ წვლილი შეიტანოს ეკონომიკის აღდგენასა და ზრდაში და ხელი შეუწყოს ქართული ეკონომიკის უკეთ ინტეგრაციას მსოფლიო ბაზართან. იმ შემთხვევაში, თუ ეს რეფორმები განხორციელდება, წლიური 4,3%-იანი ეკონომიკური ზრდა არის პროგნოზირებული.

შეთანხმება საშუალებას აძლევს საქართველოს ეკონომიკას, წამოეწიოს ევროკავშირს კონკურენტულობის თვალსაზრისით და შემდეგ ეტაპობრივად დაიკავოს თავისი ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში. ეს წარმოშობს ახალ შესაძლებლობებს არა მხოლოდ ევროკავშირ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებში, არამედ საქართველოსა და დანარჩენი მსოფლიო სავაჭრო კავშირის მხრივ. ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების გამოყენება ქართველ მომხმარებელს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტით უზრუნველყოფს და საქართველოს უფრო მიმზიდველ საინვესტიციო ადგილად აქცევს. სხვა, შედარებით მგრძნობიარე სექტორები გრძელი, გარდამავალი პერიოდის შემდეგ მიიღებენ სარგებელს, რათა უზრუნველყონ საქართველოს ეკონომიკის უმტკივნეულო ადაპტაცია“, – ნათქვამია განცხადებაში. (რეპორტიორი)

## გორში დაკავებულ გიორგი მარგველაშვილს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა



გორში სპეცოპერაციის დროს დაკავებულ პირებს სასამართლომ 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ერთ-ერთი დაკავებული გორში მცხოვრები გიორგი მარგველაშვილია, მეორე კი ოთარ ჯიხვაშვილი. სპეცოპერაციის დროს 6 პირი ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით 2 დღის წინ დააკავეს. სპეცოპერაციის დროს დაკავებული პირების ნაწილი 2012 წლის ამნისტიის შედეგად არის განთავისუფლებული. (ნიუპოსტი)

## ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე რეფერენდუმი ჩატარდება




დე ფაქტო პარლამენტის სპიკერის ანატოლი ბიბილოვის თქმით, რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხს რეფერენდუმზე გაიტანენ.

„ჩვენ უარს არ ვამბობთ ჩვენს ლოზუნგებზე, არ იქნება არანაირი ორმაგი მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით, საკითხი რეფერენდუმზე გავა, თუმცა ამ საკითხით სრულად ჩამოყალიბებული, კონსოლიდირებული პარლამენტი დაკავდება“, – განაცხადა ბიბილოვმა.

მისი თქმით, ამ ეტაპზე უკვე არჩეულია პარლამენტის თავმჯდომარის სამი მოადგილე, ასევე მიმდინარეობს კომიტეტებისა და მუდმივმოქმედი კომისიების ჩამოყალიბება. (ნიუპოსტი)

## ცხინვალში რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ჩავიდა



რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების საკითხებში ვლადისლავ სურკოვი ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ცხინვალში ჩავიდა. მან ცხინვალსა და ძაუს დასახლებაში ობიექტების აღდგენითი სამუშაოები დაათვალიერა, მარიონეტული რეჟიმის ლიდერს ლეონიდ თიბილოვსა და დე ფაქტო პარლამენტის დეპუტატებს შეხვდა.

პუტინის თანაშემწე აღდგენითი სამუშაოების გაცნობას გააგრძელებს. როგორც ცნობილია, რუსეთი ე.წ. სამხრეთ ოსეთს აღდგენითი სამუშაოებისთვის ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხებს უყოფს. (ინტერპრესნიუსი)

*მეშვიდე გვერდიდან*

– „სახალხო კრება“ თავის სიტყვას იტყვის ყოველთვის ისე, როგორც ყოველთვის ამბობდა, „სახალხო კრება“ იმით განსხვავდება პოლიტიკური მოძრაობისა და პარტიებისგან, ის თავის თავზე არ ფიქრობს, ჩვენ ვფიქრობთ ქვეყანაზე და ეს მოქმედი პარტიები კი, ოპოზიციები და პოზიციები, ჯერ თავის პარტიის ინტერესებს იკმაყოფილებენ და მერე შეიძლება იფიქრონ ქართულ სახელმწიფოებრიობაზე. ყველა არა, მაგრამ უმეტესობა ასე იქცევა. დღევანდელმა ოპოზიციამ, რომელსაც შეეძლო გამარჯვება, არაფერი გააკეთა. როცა მობრძანდა ბიძინა ივანიშვილი, ჩვენ დავსახეთ ჩვენი სამოძრაო გზა და გავდექით გვერდზე და მხარდაჭერის გარდა, ხელისუფლებისთვის საწინააღმდეგო არაფერი გაგვიკეთებია და ვიბრძოდით მასთან ერთად. რადგანაც ვთვლით, რომ პარტიების კინკლაობა, ოპოზიციური იქნება ეს თუ პოზიციური, აი, ეს ღუპავს საქართველოს. ვაცხადებ, რომ დღეს „ოცნებაში“ არსებობენ ჭეშმარიტი ქართველები, სამშობლოს მოყვარული ადამიანები, მაგრამ „ოცნებაში“ შემავალ პარტიათა უმრავლესობა, ვიმეორებ, თავის მომავალზე ფიქრობს და არა ქვეყნის მომავალზე. ნახეთ, „ნაციონალები“ ერთმანეთს კბილებით იცავენ, არა იმიტომ, რომ დიდი სიყვარული აქვთ ერთმანეთის, არამედ იმიტომ, რომ ისინი არიან დამნაშავენი და სწორედ ეს დანაშაული აერთიანებთ მათ. და საერთოდ, ბოროტება უფრო აერთიანებთ ადამიანებს, ვიდრე სიკეთე და ამ შემთხვევაში, ნათელი იჩაგრება ბნელისგან.

**„თუ ამ 6 თვის მანძილზე კატეგორიულად არ მოხდა „ოცნების“ რიგების წმენდა, ჩათვალეთ, რომ საქართველოში მოდის უარესი ძალა, ეს უბრალო „ნაციონალები“ არ არიან, ესენი არიან ზენაციონალები, რომლებიც ზურგმოცემულები არიან ევროპიდან თუ ამერიკიდან“**

**— ბატონო ელიზბარ, რა შეცდომებს უშვებს ხელისუფლება, შეგიძლიათ ჩამომითვალოთ?**

– ხელისუფლების შეცდომა ის არის, რომ არ აღადგინა სამართლიანობა. არადა, დემოკრატია არ არსებობს სამართლიანობის გარეშე. სწორედ დემოკრატიის ერთ-ერთი პრინციპია, რომ ის არის სამართალზე დაფუძნებული. სამართლიანობა იმიტომ არ აღდგა, რომ სამართლიანობა არ არსებობდაო. კი ბატონო, მაგრამ როდესაც დამნაშავე და უზნეო კაცი მოდის და შენ ჭკუას გარიგებს, ბოდიში მომითხოვია და, ოჯახში გივარდება და შენი ოჯახის წევრებს შეურაცხყოფას აყენებს, იქ სამართალი პურს ვერ შეჭამს. კოჰაბიტაცია კი დამთავრდა, მაგრამ ამასობაში მომძლავრდა ის მეორე ძალა. და რაც მთავარია, ყველაზე აუტანელია „კუდის ქიცინის“ პრინციპი. დემოკრატია არაა ენამოჩლექით ლაპარაკი, დემოკრატია გახლავთ ის, რომ სამართალმა უნდა იზეიმოს, სამართალმა და კანონმა ერთად და არა რაღაცა პოლიტიკურმა განწყობილებებმა, თუ დასავლეთიდან მობერილმა ჰაერმა. რასაც ამერიკა სჩადის, ეს სტანდარტების დარღვევა კი არ არის, ეს არის პრინციპი, – თუ ჩემი ხარ, რაც არ უნდა ძაღლიშვილი იყო, მაინც მართალი ხარ. თუ ჩემი არა ხარ, რაც არ უნდა მართალი და ანგელოზი იყო, ძაღლად არ ჩაგაგდებ.

**— და მასე არ მოგვექცნენ?..**

– მასე მოგვექცნენ. 26 მაისს ხალხი რომ ამოჟუჟეს, ხალხი, რომელსაც ფოთოლი არ ჩამოუგდია და მინა არ გაუტეხავს და რა არ დაგვაბრალეს, ეს სწორი მიდგომა იყო? ეს სჩვევია ამერიკას, ვინც სააკაშვილი გამოგვიცხადა დემოკრატიის ბურჯად თუ შუქურად, იმიტომ, რომ ყველა მათ დანაშაულებრივ გეგმას ყველაზე ტკბილად და ერთგულად ასრულებდა. ეს დანაშაულებრივი გეგმა კი მიზანი იყო პლანეტარული იმპერიის შექმნა, სადაც თავში იდგება ამერიკა, ეს არის მათი მიზანი. ყველა დანარჩენები უნდა იყვნენ მათი მსახურნი, ამიტომაცაა, რომ ვერ ნახავთ ხალხს, ვისაც ამერიკა უყვარს. ყველა ქვეყანაში ხელისუფლება მათი ხელდასმულია და ისინი ასრულებენ მათ ნებას.

დავუბრუნდეთ არჩევნებს და ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას: ეს ბარამიძე, ეს გოგორიშვილი, დანარჩენები რომ გამოდიან და გვიყვირიან, ეს უკვე ხელისუფლების ბრალია. მაჭავარიანი უფრო დახვეწილი ნაძირალაა, გოგორიშვილი – უფრო გახსნილი. მე მაქვს ტელეფონით მოსმენილი, გოგორიშვილი როგორ კივის არჩევნების დროს ტელეფონში, აქ ამდენი ხმა უნდა დაწეროთ და იქ იმდენიო... ეს იყო ჩუმად ტელეფონზე ჩაწერილი. აი, ამ ხალხს რა უფლება აქვს? ეგენი არჩევნებზე კი არა, თბილისში ვერ უნდა გამოდიოდნენ ქუჩაში, მაგრამ ამას ხელისუფლება არ აკეთებს, ამას გააკეთებს ხალხი. ახლა რაც ხდება, ჩემო კარგო, ეს არის „ენძელა და ია“. აი, ნახეთ, ისეთი ამბავი დატრიალდება, ქარიშხალი ამოვარდება. მაგათ სახლებიდან გამოათრევენ, მაგ ნაძირალებს, გარდა ამისა, უნდა გამოყარონ ეგ „რუსთავი 2“ და ყველა ტელეკომპანია, ეგ ფულით მოსყიდული ჟურნალისტები. ყველანი რომ საქართველოს წინააღმდეგ ილაშქრებენ. თავიანთი სიმღერებით, ცეკვის შოუ-მოუებით, ბოდიში მომითხოვია და, რომ გააპიდარასტეს ქვეყანა და რომ გაამაიმუნეს, ეგ მაგათი დამსახურებაა, ხოლო ის კანონი, ბოლოს რომ მიიღეს, ის სამარცხვინო კანონი, ყველასთვის თავის მომჭრელია...

**— ანტიდისკრიმინაციულს გულისხმობთ? თქვენი ნება რომ იყოს, როგორ დაალაგებდით სიტუაციას?**

– ნეტა, ერთი კვირით ჩამაბარონ ეს ქვეყანა და ნახავთ, როგორ გავაკრიალებ. ყველა ნაძირალა, დაწყებული არასამთავრობოებიდან, ყოველ წუთში რომ გამორბიან, ეს კოჟორიძეები, ეს გიგაური და ლომჯარია, იურისპრუდენციას რომ მიყალიბებენ, მაინტერესებს, რატომ არ ამხელენ ამ ხალხს, თქვან, ვინ აფინანსებთ, ამერიკიდან და უცხოეთიდან რომ ფინანსდებიან, იმიტომ არიან ხელშეუხებლები? მაგათ მე გავყრიდი კი არა, საერთოდ ავუკრძალავდი საქართველოსკენ გამოხედვას. მერე დავიწყებდი ბობოლებით და გავიდოდი ბოლომდე, აი, ეგეთი გაწმენდა უნდა მაგათ!..

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50





# მინისტრებს პრემიებს პრემიერი მისცემს, თავად პრემიერს ვინ მისცემს პრემიას?

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის, ნინო კობახიძისა და საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელის, ეკატერინე ქარდავას განცხადებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით, მთავრობა ხელფასებისა და თანამდებობრივი სარგოების მოქნილი, სამართლიანი განაწილების პრინციპზე დაფუძნებული სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე მუშაობს. აღნიშნული პროექტი მთავრობის სხდომას ხუთშაბათს, 26 ივნისს წარედგინება.

ნინო კობახიძის განცხადებით, ამ დროისთვის უკვე შემუშავებულია პრემიების გაცემის წესი და სულ მალე წარედგინება მთავრობას დასამტკიცებლად. უკვე დადგენილია პრემიის ზღვრული ოდენობა, რომლის ზემოთაც დაუშვებელი იქნება პრემიის გაცემა, განსაზღვრულია როგორც პრემიის გაცემის პერიოდულობა, აგრეთვე, პრემიის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების წრე.

ეკატერინე ქარდავას განმარტებით, საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე პრემია შეიძლება გაიცეს კვარტალში მხოლოდ ერთხელ, შესაბამისი დასაბუთებით. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე პრემიის გაცემის საკითხს დაწესებულების ხელმძღვანელი, მისი უშუალო ხელმძღვანელის დასაბუთებული წარდგინების შემთხვევაში გადაწყვეტს. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მოადგილეებზე, ასევე სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებზე პრემიის გაცემა შესაძლებელი იქნება დაწესებულების ხელმძღვანელის შესაბამისი დასაბუთებით. იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელზე, რომელიც კონკრეტული სამინისტროს დაქვემდებარებაშია, პრემიის გაცემის საკითხს წყვეტს შესაბამისი მინისტრი, ხოლო იმ საჯარო დაწესებულის ხელმძღვანელზე, რომელთაც არ ჰყავთ ზემდგომი ორგანო, ანუ არ იმყოფებიან კონკრეტული სამინისტროს დაქვემდებარებაში, პრემიების გაცემის საკითხზე გადაწყვეტილებას მიიღებს პრემიერ-მინისტრი“, – განაცხადა ქარდავამ.

„ალიას“ **ეკატერინე ქარდავა** ესაუბრა:

**— ქალბატონო ეკა, რა კრიტერიუმით განისაზღვრება, ეკუთვნის თუ არა მინისტრს ან მის თანამშრომელს პრემია?**

– თავიდან დავაზუსტოთ ის, რომ არავინ არაა ვალდებული, მისცეს ვინმეს პრემია. ეს არის ერთგვარი წესი იმისთვის, რომ, თუ აუცილებელი გახდა, მაგალითად, სანიმუშოდ შეასრულა თავისი დავალება, ისეთი ფუნქცია შეასრულა, რომელიც არ არის მისი ყოველდღიური სამუშაო, იმაზე მეტია, ვიდრე მას სამუშაო აღწერილობაში უდევს, ეს იმსახურებს პრემიას. ამ წესით შეიძლება პრემია გამოვუწეროთ როგორც მინისტრის მოადგილეს, ისე რიგით თანამშრომელს, ეს არ არის ერთგვარი ვალდებულება. ეს არის შესაძლებლობა. კრიტერიუმი არის ის, რომ მან იმუშავა განსაკუთრებულად და პრემია არის ერთგვარი მოტივაციის საშუალება, რომ საჯარო სამსახურში მოვიზიდოთ კვალიფიციური კადრები. თუ მას არ გავხდით მოტივირებულს, რომ ერთგულად ემსახუროს ქვეყანას, ხალხს და იმაზე მეტი აკეთოს, ვიდრე ეს მისი ყოველდღიურობაა. თუ ასე არ გავაკეთეთ, დავკარგავთ კვალიფიციურ კადრებს. შეიძლება, საერთოდ არ ჰქონდეს ადამიანს პრემია.

**— ვინ უნდა შეაფასოს, ეკუთვნის თუ არა პრემია?**

– ეს უშუალოდ მისმა ხელმძღვანელმა უნდა შეაფასოს, თანამშრომელი იმსახურებს თუ არა პრემიას. თუ შენ ხარ კარგი მენეჯერი, ყოველთვის იცი შენს დაქვემდებარებაში მყოფი მოხელეებიდან ვინ იმსახურებს წახალისებას და ვინ – არა.

**— მინისტრის შემთხვევაში, პრემიერი თავად წყვეტს, ვინ იმსახურებს პრემიას?**

– პრემიერმა ყველაზე კარგად იცის, მინისტრი როგორ მუშაობს. მას აქვს სამოქმედო გეგმა და თუ ამას ზედმიწევნით კარგად შეასრულებს, ეს არის საფუძველი იმისა, რომ წახალისდეს.

**— თქვენ დააწესეთ ზღვრული ოდენობა, ეს რას ნიშნავს?**

– ეს არის თანამდებობრივი სარგო, მაგალითად, თუ ადამიანის ყოველთვიური სარგო არის 1000 ლარი, პრემიის სახით შეიძლება დაემატოს 1000 ლარი კვარტალში ერთხელ. ეს არ არის აუცილებელი, კიდევ ვიმეორებ. თუ ამას დაიმსახურებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს. პრემია თანამდებობრივ სარგოზე მეტი არ უნდა იყოს.

**— ანუ თუ კარგად მუშაობს, წელიწადში 4-ჯერ შეიძლება აიღოს პრემია?**

– დიახ, ოღონდ მაქსიმუმ.

**— ეს იქნება ხელგაშლილობის დასასრული, თქვენი აზრით?**

– დიახ, ეს ნამდვილად იქნება პრემიებზე ხმაურის დასასრულიც.

**— მინისტრების საკითხი გასაგებია. თავად პრემიერს ვინ მისცემს პრემიას?**

– არ ვიცი, არ აუღია მას პრემია დღემდე. ის თავის ქვეყანასა და ხალხს ემსახურება, თავისი პოლიტიკური ხედვიდან გამომდინარე, და პრემიას არ იღებს. ასეთი რამ გაწერილი არ გვაქვს.

**— ამ ლოგიკით მინისტრებიც ხომ უნდა ემსახურებოდნენ ქვეყანას უანგაროდ?**

– რატომ გაიგეთ თქვენ, რომ პრემიერი მინისტრს აუცილებლად მისცემს პრემიას? შეიძლება, არც მისცეს, მაგრამ მინისტრი როცა ისეთ ქმედებას ჩაიდენს, რომელიც ქვეყნისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, ის ხომ უნდა იყოს წახალისების ღირსი? მთავარია, რომ ზღვრულ ოდენობაში ჩაჯდეს.

**— გასაჯაროვდება ეს პრემიები თუ დახურული იქნება?**

– ეს საჯარო ინფორმაციას დაქვემდებარებულია.

**— ვინ გააკონტროლებს პრემიების გაცემის წესს? რომელიმე კონკრეტული ორგანო?**

– პრემიერი და მინისტრები.

**— არჩეულ პირველ პირებს, მერებსა და გამგებლებს ვინ მისცემს პრემიას და რაოდენობას ვინ განსაზღვრავს?**

– მთავრობის დადგენილებით, ეთხოვება თვითმმართველობის, სასამართლო და საკანონმდებლო ორგანოებს, რომ პრემიის გაცემის დროს გაითვალისწინონ მთავრობის მიერ დადგენილი წესები. ჩაეტიონ ზღვრულ ოდენობაში. კონკრეტულად ვინ გასცემს პრემიას, ეს არ არის პრემიერის პრეროგატივა. ხელისუფლების დანაწევრების პრინციპიდან გამომდინარე, ყველა შტოს თავისი ხელმძღვანელი ჰყავს. ეს თემა რჩება საკანონმდებლო დონეზე რეგულირების საგანი, რომელიც შემუშავების პროცესშია. ამ დადგენილებით ეს ვერ მოწესრიგდა.

**— პრეზიდენტმა თუ კარგად იმუშავა, მას ვის განუსაზღვრავს პრემიას?**

– ყველა ის შტო, რომელიც ამ დადგენილების მიღმა დარჩა, მათ შორის ეს თემაც, მალე შემუშავდება. ეს რეგულაციები შემუშავდება საკანონმდებლო დონეზე.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტი“ რაღაა?



ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი ვარაუდობს, რომ „გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტი“ მხოლოდ ნაწილი იქნება იმ გადაწყვეტილებების, რომელიც უელსის სამიტზე საქართველოსთან მიმართებაში იქნება მიღებული.

„მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლების კუთხით, ისევე, როგორც ჩვენს ხელთ არსებული მექანიზმების – ნატო-საქართველოს კომისიისა და ყოველწლიური ეროვნული პროგრამის საკმარისობის კუთხით, შეთანხმება იყოს მიღწეული ჩვენს ნატოელ პარტნიორებთან. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მცირედი ნაწილი იმ გადაწყვეტილებების, რომელიც იქნება მიღებული. ჩვენ უფრო მეტი გვექნება სათქმელი მოქალაქეებისთვის. ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს“. – აღნიშნა პეტრიაშვილმა.

მისივე თქმით, ვერც ერთი პოლიტიკოსი და დიპლომატი ვერ დაასახელებს ამ ეტაპზე, რა ერქმევა ნატო-ს მხრიდან უელსის სამიტზე საქართველოს პროგრესის დაფიქსირებას. „ყველა თანხმდება ნატო-ში, რომ ეს პროგრესი აუცილებლად უნდა აისახოს. დღეს, ვერც ერთი პოლიტიკოსი და ვერც ერთი დიპლომატი ვერ იტყვის, რა ერქმევა ამას სექტემბრის დასაწყისში, მაგრამ ყველა იტყვის, რომ ეს პროგრესი აუცილებლად აისახება“, – განაცხადა პეტრიაშვილმა.

მისივე თქმით, ძალიან ბევრი პარტნიორი და მეგობარი სახელმწიფოს მაღალი რანგის პოლიტიკოსი აღნიშნავს, რომ ნატო-ში ქვეყნები გაწევრიანებულან მაპ-ის გარეშეც. „მაპ-ი არ წარმოადგენს უსაფრთხოების გარანტიას. ეს სავალდებულო ნაბიჯია ნატო-ში შემდგომი ინტეგრაციისკენ, მაგრამ ეს არ წარმოადგენს გარანტიას სავალდებულო მეხუთე თავის ამოქმედებისთვის. ამიტომაც, ყველა რისკის აწონ-დაწონა ხდება და შესაძლებელია ისეთი გადაწყვეტილება იყოს მიღებული, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინსტრუმენტები საკმარისი წინაპირობა იყოს იმისთვის, რომ კიდევ უფრო სწრაფად მოვახდინოთ ინტეგრირება ნატო-ში. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მოსახლეობას არც სკეპტიციზმი გაუჩნდეს და არც გადამეტებული მოლოდინები. ჩვენ გადაჭარბებული მოლოდინების წინააღმდეგნი ვართ“, – განაცხადა პეტრიაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## პრემიებთან დაკავშირებით საკრებულოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ

„პოლიტიკისა და სამართლის ცენტრი“ პრემიებთან დაკავშირებით თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებს.



ორგანიზაციის თავმჯდომარის, ამირან გიგუაშვილის განცხადებით: „მართალია, მთავრობის ინფორმაციით, მიმდინარეობს მუშაობა სახელფასო დანამატებისა და პრემიალური ანაზღაურების წესის რეგულაციების შემოღებაზე, მაგრამ მთავრობის ინიციატივა ვერ გავრცელდება თვითმმართველობის ორგანოებზე, ახლად არჩეულ საკრებულოებზე და არც ის არის ნათელი, რამდენად გაითვალისწინებენ საკრებულოები მთავრობის რეკომენდაციას პრემიებისა და სახელფასო დანამატების რეგულირებასთან დაკავშირებით.

თბილისის საკრებულოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომელსაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა, კიდევ ერთხელ დაანახა საზოგადოებას ხანგრძლივი ვადით და გამოუთხოვადად არჩეული პირების სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით არსებული საფრთხეები.

სწორედ აღნიშნული რისკების გათვალისწინებით, მივმართავთ თბილისის საქალაქო სასამართლოს და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60-1 მუხლზე დაყრდნობით მოვითხოვთ, თბილისის საკრებულოს დეპუტატებსა და აპარატის თანამშრომლებზე პრემიალური ანაზღაურების გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, ვინაიდან, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით და დოკუმენტებით აღნიშნული აქტის გამოცემისას არსებითად იქნა დარღვეული კანონის მოთხოვნები.

ჩვენი მიზანია თბილისის საკრებულოს ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლო წესით ბათილობის გზით შევქმნათ პრეცედენტი, რათა მომავალში არც ერთ ახლად არჩეულ თვითმმართველობის ორგანოს არ ჰქონდეს საშუალება საზოგადოების შეცდომაში შეყვანის და საჯარო სამსახურის შესახებ კანონის არასწორად ინტერპრეტირების გზით გასცეს დაუსაბუთებელი და შეუსაბამოდ მაღალი პრემიალური ანაზღაურება და სახელფასო დანამატი. შეწყდეს როგორც საკრებულოების, ისე სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი გაფლანგვა და დაცული იქნეს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული თითოეული მოქალაქის კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი“, – აცხადებს გიგუაშვილი. (ინტერპრესნიუსი)



# რა საფრთხე გემუქრებათ კოსმეტოლოგიურ კაბინეტებში?

**რა უნდა ვიცოდეთ, როცა გალამაზებას დავაპირებთ და ნემსს გაგვიყრიან სახის რომელიმე უბანში? სანამ მხედველობას დავკარგავთ, სახე მოგვექცევა და საერთოდ, სიცოცხლეს გამოგვასალმებენ?**

**„ალიას“ ესაუბრება მედიცინის დოქტორი, ნანა ლაპიაშვილი:**

– ქალაქში ძალზე მომრავლებულია კოსმეტიკური ცენტრები, სადაც არაექიმები აკეთებენ ისეთ პროცედურებს, რომელიც მათთვის აკრძალულია. პრობლემაა ისაა, რომ საამისო კანონმდებლობა ჩვენთან არ არსებობს. მანამდე კი თქვენ შეგიძლიათ, განაცხადოთ, რომ გნებავთ, გახსნათ კოსმეტიკური კაბინეტი, 15 წუთში მოგცემენ ამის უფლებას და გექნებათ შპს. ამის შემდეგ შეგიძლიათ, წახვიდეთ, გაიაროთ ათდღიანი კურსი, აქვე გეტყვით, რომ საკმაოდ ძვირი ღირს ეს კურსი და ხდებით კოსმეტოლოგი, აი, ამის შემდეგ კი, შეგიძლიათ, თქვენს თავს მისცეთ უფლება, რომ გახსნათ სახლში კაბინეტი, შემდეგ გამოაქვეყნოთ რეკლამა და თქვენთან მოვლენ ადამიანები, ხოლო თქვენთან მოსულ ადამიანს, მათივე ენით რომ ვთქვათ, შეუყვანთ ტუჩში პრეპარატს და ტუჩს გაუბერავთ, მაგრამ აქ პრობლემა ისაა, რომ ამას არ უნდა აკეთებდეს არაექიმი.

**— კი, მაგრამ ამას თბილისში ყოველ ფეხის გადაბიჯებაზე აკეთებენ.**

– ამაზეა ლაპარაკი, ძალიან ბევრი აკეთებს, მაგრამ შედეგი რა არის? არის ასეთი კოსმეტიკური შეთავაზება, მეზოთერაპია და ექიმებს ასწავლიან უმაღლეს სასწავლებელში, თუ რომელი პრეპარატი რომელ პრეპარატთან არის თავსებადი და შენ თუ ბიოქიმია არ გაქვს გავლილი და ეს არ იცი, შესაძლოა, ავნო ადამიანს. აი, ამ წამს დაგვიკავშირდა პაციენტი, რომელსაც არასწორი პილინგის შედეგად აქვს უმძიმესი გართულება, მას დარჩა ნაწიბურები სახეზე. ცხადია, ეს პილინგი მას არაპროფესიონალმა გაუკეთა, რადგანაც პილინგი არის მჟავა და ექიმმა თუ კანის სტრუქტურა არ იცის, ვერ მიხვდება, ამ მჟავამ რა დაზიანება შეიძლება, გამოიწვიოს.

**— კი, მაგრამ ექიმს არ შეიძლება იგივე შეცდომა მოუვიდეს?**

– შეიძლება, მაგრამ უფრო იშვიათად უხდება ეს შეცდომა. კვალიფიციურმა ექიმმა იცის სახეზე კუნთის მიმაგრების წერტილები, არადა, როცა ხდება ბოტოქსის გაკეთება სახეზე, ამის ცოდნა აუცილებელია. ჩვენთან კი, ხომ გეუბნებით, ნებისმიერმა შეიძლება ეს გარისკოს და პაციენტს მსგავსი პროცედურა ჩაუტაროს.

**— ამ თქვენს ჩამოთვლილ პროცედურებს რა შეიძლება მოჰყვეს? რითია ეს ყველაფერი საშიში?**

– ის, რომ ადამიანმა სახის კანის მოჭიმვის ნაცვლად შეიძლება, თვალი ველარ გაახილოს. შეიძლება, მოხდეს ის, რომ უზარმაზარი ნაწიბურები დარჩეს სახეზე.

**— რაც შეეხება ბოტოქსს, ეს ხომ დროებითი ეფექტის მქონე პროცედურაა?**

– კი, მაგრამ ბოტოქსის კანში არაპროფესიონალურმა შეყვანამ შესაძლოა, მხედველობა დაუქვეითოს ადამიანს. ეს საკითხი იმიტომაც წამოვჭერი, კონფერენციებზე ამ ბოლო დროს რომ ვხვდები ადამიანებს, გაოგნებული ვარ, საერთოდ არანაირი სამედიცინო განათლება არ აქვთ, თუმცა გამოცდილები არიან. მაგრამ, თუ დიპლომირებული ექიმი არ ხარ და სათითაოდ ყველა საგანი არ გაქვს გავლილი, იგივე ანატომია, ფიზიოლოგია და ბიოქიმია, რაც უნდა პრაქტიკული გამოცდილება გქონდეს და ბევრი ადამიანი გყავდეს გატარებული, ეს არაფერს ნიშნავს.

**— და ამ, ეგრეთწოდებული ექიმების კონტროლი არ ხდება?**

– სამწუხაროდ, არა. ჯერჯერობით არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ამას გააკონტროლებდა. ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ახლაღა დაიწყეს კანონმდებლობაზე მუშაობა, არადა ამ სფეროში სხვა სპეციალობის დიპლომირებულ ექიმსაც არ შეუძლია მუშაობა, ისე, როგორც მე არ შემიძლია, გავაკეთო ოპერაცია, თუ არ ვარ ქირურგი. ვაცხადებ, დაცვის მექანიზმი თუ არ შეიქმნა, არაფერი გამოვა. ის ცალკე თემაა, სადღაც სარდაფებში რომაა ეს კოსმეტიკური კაბინეტები მოთავსებული, სადაც პროცედურების ჩატარება არ შეიძლება ხდებოდეს და სანამ კანონმდებლობა არ იქნება, ამ სარდაფებსაც არავინ შეამოწმებს.

**— გასაგებია, მაგრამ ამ ეტაპზე მე, რიგითი ადამიანი, რომელსაც მინდა გარკვეული პროცედურის ჩატარება, რით ვარ დაცული? კი, ბატონო, სარდაფი არ არის, არის კარგი, გასისინებული ოფისი, მხვდება ადამიანი, რომელსაც თეთრი ხალათი აცვია და მეუბნება, რომ ჩემგან შექმნის მერლინ მონროს?**

– არაფრით ხართ დაცული მაშინაც, თუ მოხვდით შესანიშნავ კაბინეტში, რადგანაც ვერ მიხვდებით, ვინ გემსახურებათ. სერტიფიცირებულ ექიმებს დიპლომები აქვთ გამოკრული და შეიძლება, რაღაც დიპლომი იქაც იყოს გამოკრული, მაგრამ მაინც ვერ მიხვდებით. გარდა ამისა, ძალიან ბევრი ნიუანსია ამ სპეციალობაში. ნიღბების დადება, ალბათ, ყველა სპეციალობის ადამიანს შეუძლია, მაგრამ იმ ნიღბებშიც ზოგჯერ ისეთი პრეპარატები შედის, რომლის ბრმად გამოყენება არ შეიძლება. მაგრამ გაცილებით რთულად არის საქმე, როცა ინექციასა და ჩხვლეტას ეხება საქმე. სულ ახალი მიმართულებაა კოსმეტოლოგიაში, როცა კანში უნდა შეიყვანონ ძალიან გრძელი ერთჯერადი ნემსით პრეპარატი, ესაა პლასტიკური ქირურგის მიერ ჩასატარებელი პროცედურა და ყველა ქირურგიც არ აკეთებს ამას. მეუბნებიან, შემთხვევითი ადამიანები აკეთებენ ამ ინექციასო. მეც ვიცი, რომ კეთდება, მაგრამ ეს ოპერაციაა, მცირე, მაგრამ ოპერაციული ჩარევაა. ამ დროს გრძელი ნემსით შედიან ყურიდან და ჩხვლეტით მიდიან ტუჩამდე, მერე უკან აბრუნებენ ნემსს და ისევ ყურიდან გამოდიან. ეს ძალიან ძვირადღირებული პროცედურაა და ფასები იწყება 500 ლარიდან და ადის 3 000 ლარამდე, მაგრამ არასწორად ჩატარებულმა ამ ინექციამ შეიძლება, დააზიანოს ნერვი, რომელიც შემდეგ აღარ აღდგება, ან სისხლძარღვი, რომელიც შეიძლება აღდგეს, შეიძლება – არა. იგივე ფილერები რომ არის, შეიძლება ეს ფილერები შეიყვანო და ამას სასიკვდილო შედეგი მოჰყვეს, რადგანაც, თუ ფილერი მოხვდა სისხლძარღვში, იქვე ვითარდება სიკვდილი, იმას ვერაფრით ვერ შველი.

**— და ლეტალური შედეგი ხშირად დაფიქსირებულა ამასთან დაკავშირებით საქართველოში?**

– საბედნიეროდ, ხშირად არა. რუსეთიდან იყვნენ ჩამოსული სპეციალისტები და მათ გვითხრეს, რომ მათთან ხშირია, მაგრამ ჩვენთანაც არის ამის საშიშროება.

**— თქვენ კი ამბობთ, კანონმდებლობა არ არსებობსო, მაგრამ ჯანდაცვამ ამას ყურადღება მაინც უნდა მიაქციოს.**

– ამიტომ ვახმაურებ ამ საკითხის, რომ ვინმემ ყურადღება მიაქციოს და მიხვდეს, რომ ამ თემაზე დაიწყონ მუშაობა.

**— ამასობაში, ჩემთან მოსულ პაციენტს ყურიდან შევუყრი გრძელ ნემსს და შეიძლება, პაციენტი სამუდამოდ მაგიდაზე დავტოვო?**

– დიახ. შეგიძლიათ!

**— და ამაზე პასუხი არ მომეთხოვება?**

– თუ პაციენტმა გიჩივლათ, იმ შემთხვევაში.

**— და მკვდარი რას მიჩივლებს?**

– სანამ მართლა ასეთი შემთხვევა არ მოხდება, მანამდე გააგრძელებთ ამ საქმიანობას თამამად. ჩვენთან, სამწუხაროდ, არ აღიქმება, რომ ეს არის სამედიცინო სფერო. ამ დროს ესთეტიკური მედიცინა და კოსმეტოლოგია ჩვეულებრივი სამედიცინო სფეროებია, ისევე, როგორც დერმატოლოგია და პედიატრია და კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს, ვის აქვს ასეთ კაბინეტებში მუშაობის უფლება.

**ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის, მარინა დარახველიძის განცხადებით:**

**„ეს რთული და დასაფიქრებელი თემაა. იგივე საქმიანობას როცა სპეციალიზირებული ცენტრები ეწვიან, იქ ექიმების საქმეს ვარეგულირებთ, მაგრამ თუ ამას კანონგარეშედ გააკეთებს ექიმი, რომლის შესახებაც შეტყობინება არ მაქვს, ეს რთულია. ეს ნამდვილად საყურადღებო თემაა და უახლოეს ხანში დაინტერესდება თუ არა ჯანდაცვა ამ საკითხით, ვერ გეტყვით, ამას დიდი და ხანგრძლივი მუშაობა უნდა, 2007 წლიდან გაუქმებულია ნორმები და ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, ეს ასე იოლი არ არის და ბევრი ნიუანსია გადასაჭრელი“.**

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## ურეკში 29 წლის ბიჭი ზღვაში დაიხრჩო

ურეკში უბედურ შემთხვევას 29 წლის ბიჭი ემსხვერპლა. მეგობრები სამტრედიიდან ზღვაზე წავიდნენ, ბანაობის დროს კი ვ.კ. ზღვაში დაიხრჩო. მაშველები ცხედარს უშედეგოდ ეძებდნენ. თუმცა, მოგვიანებით შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ მაშველებმა ცხედარი იპოვეს.

როგორც უწყებაში განმარტავენ, საქმე აღძრულია 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## „ნაცმოძრაობა“ არჩევნების დისკრედიტაციას ცდილობს“



„ქართული ოცნების“ პრესსპიკერის, გიორგი გეგეჭკორის განცხადებით, „2014 წლის თვითმმართველობის არჩევნები არის უპრეცედენტო ჩვენი ქვეყნისთვის. წელს პირველად საქართველოს ისტორიაში, კანდიდატებს მოუწიათ 50%-ანი ბარიერის დაძლევა, რიგ შემთხვევებში კი, ხმების სულ რაღაც 2-3% დაკლების გამო, მეორე ტურის გამართვა გახდა საჭირო. სახელისუფლო გუნდს რომ ცესკო-ზე ზეწოლის სურვილი და პოლიტიკური ნება ჰქონოდა, ამას მანამდე გააკეთებდა და მეორე ტურამდე არ მიიყვანდა საქმეს.

„ქართული ოცნება“ არის რეალურად დემოკრატიული ძალა, რომლისთვისაც მსგავსი მეთოდებით ბრძოლა მიუღებელია, განსხვავებით „ნაციონალური მოძრაობისგან“, რომლის ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი უგულავას გამოსვლა იყო მათთვის სასურველ დროს არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის მიზნით ცესკო-ზე ზეწოლის პირდაპირი მცდელობა.

აღსანიშნავია, რომ წლევანდელი თვითმმართველობის არჩევნები უპრეცედენტო იყო თავისი მასშტაბითა და დემოკრატიულობის ხარისხით. მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ პერმანენტულად ცდილობს საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტაციას, არჩევნების პროცესში მის მიმართ ზედმეტი კითხვები არ გაჩენილა.

გვინდა ხაზგასმით ალვნიშნოთ, რომ არჩევნების მეორე ტურის გამართვის თარილის მიუხედავად, „ქართულ ოცნებას“ ხალხის მხარდაჭერის იმედი აქვს. ჩვენ გვჯერა, რომ ქართველი ხალხი არ დაუშვებს, ქვეყანა წარსულში დააბრუნოს და „ნაციონალურ მოძრაობას“ თუნდაც მცირედი წარმატების ილუზია შეუქმნას“, – განაცხადა გეგეჭკორმა. (ნიუპოსტი)

## „თელასი“ პროფილაქტიკურ სამუშაოებს წყვეტს




„თელასის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ვალერი ფანცულაიას თქმით, პროფილაქტიკური სამუშაოები არჩევნების შემდეგ განახლდება.

„სამწუხარო და უსაფუძვლოა აჟიოტაჟი, რომელიც შეიქმნა. უარვყოფთ ყოველგვარ ჭორს დედაქალაქში ელექტრომომარაგების შეზღუდვის შესახებ. ამასთანავე, ვითვალისწინებთ საზოგადოებრივ ინტერესს მიმდინარე ადგილობრივი არჩევნების და მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის მიმართ და მივიღეთ გადაწყვეტილება, პროფილაქტიკური სამუშაოები დავიწყოთ არჩევნების დასრულების შემდეგ. ეს იქნება უმნიშვნელო სამუშაოები და უარყოფითად არ აისახება დედაქალაქის ელექტრომომარაგებაზე“, – განაცხადა ფანცულაიამ.

მისი განმარტებით, „თელასის“ მიერ ჩასატარებელი სარემონტო პროფილაქტიკური სამუშაოები ითვალისწინებს მხოლოდ ლოკალურ, ერთდროულად ერთი, ან ორი ქუჩის რამდენიმე საათით გამორთვას. (ნიუპოსტი)

## ზვიადაურის ახლობლებმა 27 წლის ახალგაზრდას სახე დაუსერეს

ახმეტაში „ქართული ოცნებიდან“ მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ზვიადაურის ახლობლები თავს დაესხნენ 27 წლის გიორგი ქისტაურს და სახე დაუსერეს. ინფორმაციას „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“ ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, გიორგი ქისტაური 21 ივნისს მდინარე ილტოზე საბანაოდ იმყოფებოდა. მასთან მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ზვიადაურის ახლობლები მივიდნენ და ქისტაურს სახეზე დაზიანებები მიაყენეს. დაზარალებულს სამედიცინო დახმარება ახმეტის საავადმყოფოში გაუწიეს. პოლიციას ამ ფაქტზე გამოძიება ამ დრომდე არ დაუწყია. (ნიუპოსტი)

# რა მოხდა უკრაინის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე სააკაშვილის მისვლისას?



მიხეილ სააკაშვილი რომ გიჟი „პიარშიკია“, ეს მთელმა მსოფლიომ გაიგო. მან სწორედ ასეთი გიჟური პიარით დაგვაბოლა და 2004 წელს მოვიდა კიდეც ხელისუფლებაში. შემდეგ იყო ყალბი დახვედრები, ყალბი შეხვედრები, ყალბი სტუმრიანობა, ყალბი ვიზიტები, მილიონობით დოლარის ხარჯვა, ლობისტების აყვანა და ასე შემდეგ. ჩვენ გვახსოვს, როგორ უსაფრდებოდა ვლადიმერ პუტინს სხვადასხვა სახის შეხვედრების დროს ხან ტუალეტის კართან, ხან კიდევ ლიფტთან, რომ ხელი ჩამოერთმია და სურათი გადაეღო. ასევე უსაფრდებოდა ბარაკ ობამას თუ მსოფლიო დონის სხვა პოლიტიკოსებს, რათა კადრში მოხვედრილიყო და შემდეგ „რუსთავი 2“-ს მაგრად „გაენიუსებინა“, მიხეილ სააკაშვილი ამა და ამ ქვეყნის მეთაურს პირისპირ შეხვდა, სამომავლო გეგმებზე ისაუბრესო. დადგა მისი წასვლის, ანუ გაბუნძულების დრო, თითქოს გაბუნძულდა კიდეც, ბოლოს თავისი ჭკუით დაგვემდურა – წავალ, ცოტა ხნით დაგასვენებთო, მაგრამ დღემდე ვერც თვითონ ისვენებს, არც ჩვენ გვასვენებს და სხვასაც აწუხებს.

7 ივნისი. უკრაინა. კიევი. პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს ინაუგურაციის საზეიმო ცერემონია. თბილისიდან კიევში ჩადიან: საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი, მარგველაშვილის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში ვანო მაჭავარიანი, ასევე „ქართული ოცნების“ დეპუტატები, ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური და პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე. ეს ადამიანები ოფიციალურად იყვნენ მიწვეულები ინაუგურაციაზე და ჩავიდნენ კიდეც კიევში. როგორც ახლა ირკვევა, მიხეილ სააკაშვილი საერთოდ არ ყოფილა მიწვეული პოროშენკოს „ნადიმზე“, მაგრამ მან იმდენი „იჩალიჩა“ ძველი ნაცნობობით, არა მხოლოდ თავი დააპატიჟებინა, თავისი მეუღლე, სანდრა რულოვსიც შეტენა უკრაინელებს. როგორც წყარო ატყობინებს „ალიას“:

„როგორც კი მიშა სააკაშვილმა იგრძნო, ინაუგურაციაზე არ ეპატიჟებოდნენ, პოროშენკოს ადმინისტრაციაში გამოძებნა ერთი მაღალჩინოსანი ნაცნობი და სთხოვა, მოსაწვევები გამიკეთე ჩემზე და სანდრაზე, ოღონდ ისე, რომ გიორგი მარგველაშვილი ჩემს უკან რიგში მოხვდესო. თავხედობის დონე ნახეთ, ეს ყველაფერი ისევ საკუთარი პიარისთვის სჭირდებოდა, ასე მოხვდებოდა კადრში და მერე იტყოდა, მე უფრო პატივს მცემენ, ვიდრე მარგველაშვილსო. ვისაც მიშამ ეს სთხოვა, მან ჯერ მხრები აიჩეჩა, მერე კი უპასუხა: ეგ ამბავი არ გამოვა, ყოველ შემთხვევაში ძალიან ძნელი იქნება, რადგან პროტოკოლი არ ითვალისწინებსო“.

ინკოგნიტო წყაროს თქმით, მიშა ბრაზდება, ეგ მე არ მაინტერესებს, ასე მსურს და ასე იქნებაო. პოროშენკოს ადმინისტრაციაში მომუშავე მაღალჩინოსანი დგება და იქაურობას უხმოდ ტოვებს. მიშას ჰგონია, ეს კაცი იმიტომ წავიდა, ყველაფერს მომიგვარებსო, მაგრამ სინამდვილეში ასე არ ხდება, მან საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი დაიკიდა თავისი პრეტენზიებითურთ. მიხეილ სააკაშვილი მოგვიანებით იგებს, რომ მის სახელზე მოსაწვევი არ არის გამოწერილი, სანდრაზე საერთოდ აღარ არის ლაპარაკი. დილის 7 საათზე თავქუდმოგლეჯილი გარბის ვიტალი კლიჩკოსთან, კიევის ახლად არჩეულ მერთან, ხვდება სადარბაზოსთან, უჯდება მანქანაში და ეუბნება: რაკი ჩემს სახელზე მოსაწვევი არ არის, შენ თვითონ მომიგვარებ ამ საქმეს, შენ თვითონ წამიყვან ინაუგურაციაზეო. რაც შეეხება სანდრა რულოვსს, როგორც ინკოგნიტო წყარო ამბობს:

„სანდრას შეყვანა ინაუგურაციაზე დავალებული ჰქონდა კლიჩკოს დაცვის უფროსს, რომელსაც, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა ამ საკითხის მოგვარება, მაგრამ მიშა თვითონ წაეხმარა. როდესაც კლიჩკომ „შეაპარა“, მერე შიგნიდან დაუწყო პოლიციას „კაჩაობა“, ჩემი ცოლია, გამოატარეთ, მოსაწვევი სახლში დარჩაო. მოგეხსენებათ, სააკაშვილი მაგარი არტისტია და არც ამ შემთხვევაში დაბნეულა“.

ბუნებრივია, აქ ჩნდება კითხვა: რატომ უნდა გასჭირვებოდა მოსაწვევების მიღება, როცა ამხელა „დამსახურება“ აქვს უკრაინის ახალი ხელისუფლების წინაშე, ბოლო-ბოლო, თავად ვიტალი კლიჩკო ვერ დარეკავდა პოროშენკოს ადმინისტრაციაში, რომ პატივი ეცა თავისი თანამებრძოლისთვის? იქნებ კლიჩკოს აღარ აქვს ამდენი გავლენა? ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა უკვე ყველას მოაბეზრა თავი, ინაუგურაციაზე იყო მისი ბოლო გაელვება. გარდა იმისა, რომ ეს ადამიანი უკრაინის ხელისუფლებას თავს ახვევს თავისი ყოფილი მთავრობის წევრებს და სთავაზობს „გამოცდილებას“, ასევე გამოირჩევა არაორდინარული საქციელითაც – აბა, როგორია, გამოდის კლიჩკო სადარბაზოდან და დილის 7 საათზე იქვე ატუზული ხვდება მიხეილ სააკაშვილი. ეს ადამიანი ასევე აწუხებს სხვა მაღალჩინოსნებსაც.

სხვათა შორის, მე კარგად მახსოვს, რა მოხდა მთავრობის კანცელარიის მოსაცდელში 2009 წელს, როცა სააკაშვილის ინაუგურაცია უნდა გამართულიყო პარლამენტის შენობის წინ. წინა დღეს მთავრობის პრესსამსახურიდან დამირეკეს, დღის განმავლობაში მობრძანდით და მოსაწვევები წაიღეთო. მივედი, საშვთა ბიუროს სარკმელთან, კაცი დგას და ჯიჯღინებს: ეს რა უბედურებაა, ეს რა ჯოჯოხეთია, მოსაწვევს არ მაძლევენო. ვააა... დავაკვირდი, მიხეილ სააკაშვილის მამაა, ნიკოლოზ სააკაშვილი. კაცო, იძახის, პრეზიდენტის მამა ვარ, მოსაწვევი მომეცით, ვიცი, რომ ჩემზე დაშვებულიაო. ქალები იცინიან, არ არის, ბატონო, რა გიყოთო? ამ ქალებს ვეუბნები, მართლა პრეზიდენტის მამაა, რა გაცინებთ-მეთქი? ცოტა დაფიქრდნენ, მიდგნენ-მოდგნენ, ზემოთ დარეკეს და 2-საათიანი წვალების შემდეგ გამოუტანეს. ვეკითხები: ბატონო ნიკოლოზ, მოსაწვევი სახლში რატომ არ გამოგიგზავნეს, თქვენ ხომ პრეზიდენტის მამა ხართ-მეთქი? არ მიპასუხა, ერთი დაიჭყანა, ხელი ჩაიქნია და კიბეზე ბუზღუნით დაეშვა. აი, რა არის ცხოვრება, თუ პატივს არა სცემ მამასა შენსა (მიშა), დადგება დრო, თავად ირბენ მამაშენივით მოსაწვევების საძებნელად და თავსაც მოიჭრი.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „პოლიტიკური ყაჩაღები მომრავლდნენ“



პარტია „თეთრების“ ლიდერი, თემურ შაშიაშვილი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ყაჩაღები მომრავლდნენ. „ქართული ოცნების“ სიებში, ქვეყნის ბევრი გამყვლეფი პიროვნება აღმოვაჩინე. იდეოლოგია, რაც ჰქონდა „მოქალაქეთა კავშირს“, შემდეგ „ნაციონალურ მოძრაობას“, ახლა „ქართული ოცნებას აქვს!“ ქვეყანაში მასონურმა ძალებმა შეძლეს, ქვეყანაში ორი პარტია დაემკვიდრებინათ. ახლა რაც ხდება, ეს ყველაფერი დემოკრატიის თამაშია!“ – განაცხადა თემურ შაშიაშვილმა. (რეპორტიორი)

## იუსტიციის სახლში ატესტატების გაცემა დაიწყო



სკოლადამთავრებულებმა ატესტატების მისაღებად, იუსტიციის სახლის ფილიალებს და სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს უნდა მიმართონ. საბოლოოდ დაზუსტებული და შევსებული ბაზა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ იუსტიციის სახლს 20 ივნისს გადასცა. მონაცემების მიხედვით, მიმდინარე წელს გასაცემი ატესტატების რაოდენობა ჯამში 37865-ს შეადგენს. გასულ 2013 წელს კი, პირველადი ატესტატი 54633 სკოლადამთავრებულზე გაიცა.

„ცამეტივე იუსტიციის სახლი მზადაა, სკოლადამთავრებულებს 23 ივნისიდან განსაკუთრებულ რეჟიმში მოემსახუროს. ატესტატების გაცემა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ხორციელდება. მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე ატესტატი მოქალაქეების იმ ნაწილისთვის, რომელმაც სკოლა წელს დაამთავრა, უფასოა და განაცხადის გაკეთების შემთხვევაში სტანდარტულ 10 დღის ვადაში მათ ეს დოკუმენტი უსასყიდლოდ გადაეცემათ“, – განაცხადა იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ირაკლი ლომიძემ.

რადგან წინასაგამოცდო პერიოდში ატესტატების მიღების მსურველთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია, იუსტიციის სახლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით მომზადდა რეკომენდაციების პაკეტი აბიტურიენტთათვის. რეკომენდაციების შემუშავების საფუძველი კი, გასულ წელს, ატესტატებზე არსებული მაღალი მოთხოვნა გახდა.

„დისკომფორტისა და რიგის თავიდან აცილების მიზნით გადავწყვიტეთ, ატესტატების აღების მსურველებს რეკომენდაცია გავუწიოთ, რომ ამ დოკუმენტის მისაღებად იუსტიციის სახლის ფილიალებს მიმართონ ყოველ სამუშაო დღეს 09:00-დან 12:00 საათამდე და დღის მეორე ნახევარში 16:00 საათიდან 18:00 საათამდე“, – განაცხადა ლომიძემ. (რეპორტიორი)

## ცესკო „ნაციონალურ მოძრაობას“ პასუხობს




ცესკო „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება. ცესკო-ს თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გაკეთებული განცხადებები და მოთხოვნა სცილდება კანონიერ ჩარჩოებს. მივმართავთ საარჩევნო სუბიექტებს, რომ მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს საარარჩევნო საკითხებზე მსჯელობისას. თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის დანიშვნა არ წარმოადგენს ცესკო-ს თავმჯდომარის კომპეტენციას. არჩევნების მეორე ტურის თარიღი გამოცხადდება კანონმდებლობის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმის მიღებისა და სასამართლო დავების დასრულების შემდეგ. საარჩევნო ადმინისტრაცია დამოუკიდებელია და მოქმედებს კანონის ფარგლებში, შესაბამისად, ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ იქონიებს გავლენას ცესკო-ს გადაწყვეტილებაზე“, – განაცხადა თამარ ჟვანიამ.

„ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციით, ხელისუფლება ცესკოს თავმჯდომარეზე ზეწოლას ახორციელებს და მას მეორე ტურის 12 ივლისს დანიშვნას სთხოვს. (ნიუპოსტი)

## სესიაშვილი პოლიტიკოსებს მოუწოდებს



პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი მოუწოდებს პოლიტიკოსებს ნუ მიაყენებენ შეურაცხყოფას ცესკო-ს თავმჯდომარეს.

„პირველ რიგში, ნებისმიერ პოლიტიკოსს მოვუწოდებ, ცსკ-ს და მის თავმჯდომარეს შეურაცხყოფა არ მიაყენოს. მინდა მადლობა გადავუხადო თამარ ჟვანიას კარგად ჩატარებული არჩევნებისთვის. მას აქვს სრული დამოუკიდებლობა და ის და თავისი მთელი თავისი შემადგენლობა ამას ძალიან კარგად ხედავს. ვამაყობთ, რომ თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები ჩავატარეთ და დავასრულეთ ის დრო, როდესაც შესაძლოა, ვიღაცას ეჭვი გასჩენოდა, რომ ცსკ-ზე ვიღაც ზეგავლენას ახდენს. რას ჰქვია პრემიერი აიძულებს, ჩვენ არავის არაფერს ვაიძულებთ“, – განაცხადა სესიაშვილმა. (ნიუპოსტი)



# ვის ინტერესებშია ემზარ კვიციანის ციხეში ყოფნა?

**გამოძიებამ ემზარ კვიციანს 7 მუხლი მოუხსნა. ადვოკატი რეზო კახნიაური პროკურორების აცილებას მოითხოვს. ადვოკატის თქმით, კვიციანს საპატიმრო ვადა 28 ივნისს ეწურება, რის შემდეგაც საქმე არსებითი განხილვისთვის სასამართლოს უნდა გადაეცეს.**

**კონკრეტულად რა მუხლები მოუხსნეს და ვისი ინტერესები იკვეთება იმაში, რომ ემზარ კვიციანი პატიმრობაში რჩება?**

**„ალიას" ადვოკატი რეზო კახნიაური ესაუბრა:**

**— ბატონო რეზო, რა ბრალდებები მოუხსნეს ემზარ კვიციანს?**

– 19 ივნისამდე მას ბრალი ჰქონდა წაყენებული 7 სხვადასხვა დანაშაულში. ეს სხვადასხვა დანაშაულები განისაზღვრებოდა 332-ე, 223-ე, 237-ე, 375-ე, 331-ე და სხვა მუხლები, რაც არის თაღლითობის, თაღლითობაში დახმარების მუხლები. ეს მუხლები მისცეს ისე, რომ დანაშაულებრივ ქმედებებს ადგილი არ ჰქონია. ეს დასჭირდათ იმისთვის, რომ საზოგადოებაში გამოეწვიათ ემზარ კვიციანის დისკრედიტაცია. თუკი ადამიანს ბრალი ედება 7-8 დანაშაულში, ერთი ხომ მაინც უნდა იყოს მართალი? ეს მუხლები შეთითხნილია და ამიტომ იძულებული გახდნენ, მოეხსნათ. ორი მუხლი ორჯერ ჰქონდათ წარდგენილი და რატომ, იცით? მან ერთ-ერთ თავის თანამშრომელს მისცა ცნობა, რომ იყო ომის მონაწილე. ამ ადამიანმა დაზოგა 1300 ლარი საშემოსავლო გადასახადი. ეს ემზარ კვიციანს თაღლითობაში დახმარებად ჩაუთვალეს.

**— კი ბატონო, ემზარ კვიციანისგან მტრის ხატი შექმნა წინა ხელისუფლებამ, ვინ არიან ბრალმდებლები?**

– თენგიზ ხარებავა და თენგიზ ჭითანიშვილი. ეს ადამიანები არიან პროკურორები, რომლებიც მონაწილეობდნენ ყველა ოდიოზურ საქმეში. გახსოვთ ვაზაგაშვილის საქმე, მაშინაც ეგენი იყვნენ ბრალმდებლები. ის გამომძიებლები იძიებენ დღესაც საქმეს, რომლებიც 2006 წლიდან დაიწყეს. ანუ „ნაციონალური" მოძრაობის და პროკურატურის დაინტერესება სახეზეა. თქვენ კარგად იცით, რომ წინა ხელისუფლება ებრძოდა ყველა ავტორიტეტს, ყველა გმირს, რომ ეს ადამიანები მორალურად და ზნეობრივად მოესპოთ. 2006 წელს, როცა ემზარ კვიციანმა განაცხადა, რომ არ უნდა შესულიყო ხეობაში ჯარი, ის იქნებოდა წინააღმდეგი, ეს დაიწერა „ალიაშიც", მაშინ ემზარ კვიციანმა თქვენს გამოცემას უთხრა, რომ დაიდო ოთხმხრივი ხელშეკრულება, რომლითაც საქართველომ აიღო ვალდებულება, ჯარის არშეყვანის თაობაზე, ჯარის იქ შეყვანა კოდორის ხეობის დაკარგვას გამოიწვევდა. რაც თქვა, ყველაფერი ისე ასრულდა, სამწუხაროდ.

**— კვიციანი საქართველოში პირაინურება, მეტს ველარ დატოვებენ პატიმრობაში, ამიტომ დაუტოვეს 2 მუხლი – ამბოხი და უკანონო ფორმირების შექმნა. ეს უკანონო ფორმირება იყო ის, რომელიც კოდორში „ბაგრამიანის" რაზმს დახვდა და მტრის 247 ჯარისკაცი დააწვინა ხეობაში.

**— როგორ ატყობთ, ემზარ კვიციანს სიმართლის დამტკიცების საშუალება აქვს?**

– ინერტულობის ბრალია ყველაფერი, ეს ყველაფერი მოდის „ნაციონალური მოძრაობის" პერიოდიდან და ინერციით მიმდინარეობს იგივე ტენდენცია. „ალია" და არც ერთი სხვა გაზეთი კვიციანს, რაც

**დი სურვილით ჩამოვიდა, ჩაბარდა და სიმართლის გარკვევა მოინდომა. ხომ შეეძლოთ საქმე ისე გამოეძიებინათ, რომ პატიმრობაში არ ყოფილიყო. ასე რატომ გაიმეტა ხელისუფლებამ?**

– სისხლის სამართლის პროცესი კრძალავს ადამიანის წინასწარ პატიმრობაში აყვანას, გარდა ორი შემთხვევისა – თუ ადამიანი წინასწარ გამოძიებას ხელს შეუშლის, ან თუ გამოძიებას დაემალება. მას ხომ არ შეეძლო წინასწარ გამოძიებისთვის ხელის შეშლა იმის გამო, რომ ეს დაკითხვები 2006 წლიდან მიმდინარეობდა და 18 გამომძიებელი იძიებდა საქმეს, მტკიცებულებებიც უნდა შეგროვებულიყო, ხომ ასეა? ან რა იყო ამისთანა გამოუძიებელი? ემზარი თვითონ გამოცხადდა, ესე იგი, არ აპირებს დამალვას. პირიქით, თანამშრომლობს გამოძიებასთან. აბსოლუტურად ყველაფერი კეთდება პირადი შურისძიების გამო.

**— ვისი მხრიდან?**

– დაიბევეს კვიციანი, გააჩერეს 4 თვე, სასამართლო განხილვების გარეშე ჰყავთ პატიმრად. 4 თვე ციხეშია, თვალით არ უნახავს, არც ტელევიზორს ურთავენ, ორი თვეა, ითხოვს ნევროპათოლოგთან შეხვედრას, ხერხემლის სერიოზული პრობლემები აქვს და ექიმს არ აჩვენებენ. ადამიანი ჰყავს საწამებლად ახალ ხელისუფლებას. მე ვთვლი, რომ ეს ორი მუხლი, რაც ახლა აქვს წაყენებული, არ და ვერ დადასტურდება. არ შეიძლება სახელმწიფო ამბოხი მოაწყო კოდორის ხეობაში, ერთია – შეიგინო ადამიანმა, მეორეა – შეასრულო. არანაირი სახელმწიფო ამბოხი არ იკვეთება აქ, კვიციანი ხეობას იცავდა. 347 მილიონი დოლარი ჩამოწერეს ბიუჯეტიდან და ტყვიის გაუსროლელად გამოიქცნენ ესენი იქიდან. ვინ არის ჩვენი ქვეყნის მტერი? ის, ვინც 15 წელი იცავდა ხეობას, თუ ის, ვინც 2 წელიწადში ამდენი თანხა დაკარგა და ხეობაც ჩააბარა?

**— ბევრი ადამიანი უდგებოდა თავდებში კვიციანს, რატომ არ გაუწია ანგარიში ხელისუფლებამ საზოგადოებას?**

– სხვათა შორის, პარლამენტის წევრები, მათ შორის, ქართული ოცნებიდანაც, მხარს უჭერდნენ ემზარის გათავისუფლებას. არის ასეთი პროკურორი მთავარ პროკურატურაში – გაბიტაშვილი, რომელმაც წერილობითი პასუხიც არ გაუგზავნა პარლამენტარებს იმ შუამდგომლობაზე საპასუხოდ. ხელს აწერდა 35 დეპუტატი. ის არის მძევალი ძველი და ახალი ხელისუფლების.

**რას ფიქრობენ კვიციანის მეგობრები ამ გაჭიანურებული საქმის შესახებ? „ალია" ერეკლე საღლიანს დაუკავშირდა, ემზარ კვიციანის გათავისუფლების მოთხოვნით გამართული აქციის ერთ-ერთ ორგანიზატორს.**

„საქმე ისაა, რომ ყველაფერი ემზარ კვიციანის წინააღმდეგ კი არ იყო გაკეთებული, ეს იყო მთლიანად ხეობის წინააღმდეგ. ეს იყო ერთობლივი შეთანხმება „ნაციონალებსა" და რუსეთს შორის, ასე ლამაზად უნდა ყოფილიყო ყველაფერი. მოხდა ომის ინსცენირება, რომელიც სინამდვილეში არ იყო ომი. ამ სცენარის მიზანი დალის ხეობის ჩაბარება იყო მხოლოდ, სადაც საზოგადოება „მონადირე" და მისი წევრები წინა ხელისუფლებას უშლიდნენ ხელს, რომ ეს ასე გაეკეთებინათ. დღეს ვის რას უშლის კვიციანი? ფაქტობრივად, ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში არაფერი შეცვლილა. ქვეყანაში რადიკალური ცვლილებები არაა განხორციელებული. იგივე პროცესები მიდის და მხოლოდ მსუბუქ ფორმებში ხდება ის, რაც მძიმე ფორმებში ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს. ამ კაცის ციხიდან გამოსვლას მოჰყვება საზოგადოება „მონადირის" აღდგენა, რაც ხელისუფლებას არ აწყობს".

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შალვა ხაჭაპურიძე „ნაციონალური მოძრაობის" დროს მოკლული ადამიანების სიას აქვეყნებს



ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე „ნაციონალური მოძრაობის" რეჟიმის დროს მოკლული ადამიანების სიას აქვეყნებს, რომელიც ჰააგის მთავარ პროკურორს 2010 წელს ჰააგის სასამართლოში სარჩელის შეტანისას პირადად გადასცა.

„გთავაზობთ ჰააგის სარჩელიდან ამონაწერს: გვირგვლიანი; რობაქიძე; აფრასიძეები; ვაზაგაშვილი; გამცემლიძე; ჟვანია; ოთარ გველუკაშვილი (მოკლული იქნა გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში სპეცოპერაციის დროს); ანტონ კეკულავა (მოკლეს თბილისში დაკავებისას); დიკო ბარქაია (მოკლეს ზუგდიდის რაიონში სპეცოპერაციის განხორციელებისას); ზაზა ფანცქელაძე (მოკლეს ზუგდიდის რაიონში დაკავებისას); ხვიჩა კვირიკაშვილი (მოკლული იქნა თბილისში პოლიციელების მიერ დაკავების დროს განხორციელებული ცემის შემდეგ); ალექსანდრე გომაშვილი (მოკლეს კახეთში დაკავებისას); მურთაზ ქარდავა და თემურ ხუბუნია (ორივე ერთად ჩაცხრილა და მოკლა უშიშროების თანამშრომელმა); სულხან ლომიძე (მოკლეს ხელვაჩაურის რაიონში სპეცოპერაციის დროს); აკაკი კორკოტაშვილი (მოკლეს გურჯაანის რაიონში დაკავებისას); ავთანდილ გუმაშვილი და ვახტანგ გუმაშვილი (ორივენი მოკლეს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში სპეცოპერაციისას); ვახტანგ მარგოშვილი (მოკლეს ქვემო ქართლში სოფელ ვახტანგისში); ვარლამ ნემსიწვერიძე (მოკლეს თბილისში მძევლის განთავისუფლებისას); ნესტორ ესებუა, გია ოკუჯავა და თემურ ცეკვავა (სამივენი ერთად მოკლეს აბაშის რაიონის სოფელ მარანში დაკავებისას); თამაზ კურკუმული (მოკლეს თბილისში დაკავებისას); ხვიჩა მელაძე (მოკლეს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში); გიორგი კვირიკაშვილი და გიორგი მანჯავიძე (ორივენი ერთად მოკლეს თბილისში თამარაშვილის ქუჩაზე დაკავებისას); ლევან გულუა (მოკლეს თბილისში, გამსახურდიას გამზირზე დაკავებისას); რეზო სარჯველაძე (მოკლეს თბილისში დაკავებისას); ვლადიმერ ხოშტარია (მოკლეს თბილისში დაკავებისას); გიორგი თელია (მოკლეს თბილისში საკუთარ სახლში სპეცოპერაციის დროს); ჯემალ ჩაფიძე (მოკლეს თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთში დაკავებისას); ზვიად ბაბუხადია, ბუთხუზ კიზირია და ვალერი ბენდელიანი (მოკლული იქნენ ბაღდადის რაიონის სოფელ ვარციხეში დაკავებისას); ალექსანდრე ხუბულოვი (ჩაცხრილეს ავტომანქანაში სპეცოპერაციის დროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისში კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე); მიხეილ ბერძენიშვილი (მოკლეს საგარეჯოს რაიონში დაკავებისას); გელა ცინდელიანი (მოკლეს მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში სპეცოპერაციის დროს); ჯაბა ჯაბანიშვილი (ქალაქ ბორჯომში დაჭრილი იქნა პოლიციელის მიერ და სახლში მისვლისას გარდაიცვალა); ხვიჩა კოკაია (მოკლეს ხობის რაიონში სპეცოპერაციისას); ვალერი ფხაკაძე (ქუთაისში დაჭრეს პოლიციელებმა და დაჭრილს არ აღმოუჩინეს სასწრაფო დახმარება, რის გამოც გარდაიცვალა); მიხეილ კირაკოსიანი (ახალციხეში მოტოციკლის გაჩერების მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო ესროლა პოლიციელმა და ადგილზე მოკლა); გიგა ჭარბაძე (მოკლული იქნა თელავში პოლიციელის მიერ, ავტომანქანის დაჯახებით); ალექსანდრე ხოსიტაშვილი (მოკლული იქნა თბილისში, პოლიციელების მიერ სასტიკი ცემის შედეგად); ოლეგ მესხიძე (მოკლეს ოზურგეთში სპეცოპერაციისას); თენგიზ გოგია (მოკლეს სენაკის რაიონის სოფელ მენჯში სპეცოპერაციისას); როლანდ მახარაძე მოკლული იქნა ბათუმში მძევლების განთავისუფლებისას), როინ შავაძე (მოკლეს ქობულეთში სასტიკი წამების შემდეგ); ზურაბ მანთაძე (მოკლეს რუსთავ-თბილისის გზატკეცილზე დაკავების შემდეგ); გიორგი კრიალაშვილი (მოკლეს თბილისში სპეცოპერაციისას); ჯიმი მეგრელიძე (მოკლეს ზუგდიდში დაკავებისას); მამუკა ჩარჩხალია (პოლიციელების მიერ თავის არეში მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა საკუთარ სახლში).

ადვოკატის განცხადებით, მის მიერ წარმოდგენილ სიაში აღნიშნული ყველა მოკლულის შესახებ ოფიციალური მტკიცება და ვიდეოფირები გააჩნია. ხაჭაპურიძის განცხადებით, პასუხი უნდა აგონ იმ ადამიანებმაც, ვინც რეჟიმს ახანგრძლივებდა. (რეპორტიორი)

## წყნეთში 24 წლის მამაკაცს 14 ტყვია ესროლეს




წყნეთში ურთიერთშელაპარაკების დროს 24 წლის მამაკაცს ცეცხლსასროლი იარაღიდან 14 ტყვია ესროლეს.

შემთხვევა 22 ივნისს საღამოს მოხდა. არსებული ინფორმაციით, 24 წლის ახალგაზრდა მამაკაცი ამ დროისთვის რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება. მისი მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. (ნიუპოსტი)

## „ნატო იპოვის გზას, რომ აღიაროს საქართველოს დიდ პროგრესი"



საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი, ბრიჯიტ ბრინკი ნატოს მომავალ სამიტს ეხმიანება:

„რაც შეეხება იმას, რა გადაწყვეტილებას მიიღებს უელსის სექტემბრის სამიტზე ნატო-ს 28 წევრი ქვეყანა; ნატო არის ორგანიზაცია, რომელიც კონსენსუსის გზით იღებს გადაწყვეტილებას და ამჟამად გადაჭრით ვერ გეტყვით, რა იქნება საბოლოო შედეგი. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ნატო იპოვის გზას, რომ აღიაროს საქართველოს დიდ პროგრესი ყველა რეფორმის მხრივ. ასე რომ, პროცესი მიმდინარეობს და მსურს განვაცხადო, რომ სექტემბერში შედეგად მივიღებთ კონსესუსს, რომელიც იქნება მიღწეული ნატოს 28 წევრი ქვეყნის მიერ", – განაცხადა ბრინკმა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


## „ეს რამიშვილი თუ სადმე გადამეყარა, უნდა დავასისხლიანო“



– ეს მახინჯი რომ დაიბადა, საინტერესოა, ექიმებმა მშობლებს არ ურჩიეს, დაეტოვებინათ სამშობიაროში?! – ამ კომენტარს შალვა რამიშვილის შესახებ პოლიტიკოს ნათელაშვილის გვერდზე ნახავთ. ამავე გვერდზე ცნობილ შოუმენს დასისხლიანებითაც ემუქრებიან. ეს თავად შალვა რამიშვილმაც აღმოაჩინა და „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე პოლიტიკოსის კრიტიკასთან ერთად განათავსა.

– ჩემი შოუ გაიზიარა და შემდეგ გახურდნენ კომენტარებში, – წერს რამიშვილი.

შალვა ნათელაშვილი: „დატკბით, აი, „ვარდების რევოლუციისა“ და მიშას პირადი პიარშიკი, შემდეგ მათგანვე ნაღდი თაღლითობისა და ასევე ნაძირალა ბქქაურისთვის 100 ათასი დოლარის გამოძალვის ფაქტზე დაჭერილი და ამჟამად ბიძინაზე თავ-ფეხიანად (სული არც ქონია) მიყიდული სათვალიანი თხის მსგავსი არსება კიდევ რომ არ ისვენებს. შალვა ბატონო, აი, რამდენი ხმაც გამიყალბა ივანიშვილმა, იმდენი ათასი მოაკლდეს „ქართუ ბანკში“ დავანებულ შენს მილიონებს, ბოლოს და ბოლოს, არ დაფიქრებულხარ? რად გინდა ასეთი ცხოვრება და ამ უწესობით ნაშოვნი მილიონები“.

გოგიტა ნიკლაური: „სულგაყიდულ ადამიანებს არასოდეს ღირსება არ ექნებათ, ბატონო შალვა“.

პაატა დოლიძე: „ეს რამიშვილი თუ სადმე გადამეყარა უნდა დავასისხლიანო, ისე უნდა ვცემო“.

ზაქარია ქევხიშვილი: „ეს მახინჯი რომ დაიბადა, საინტერესოა, ექიმებმა მშობლებს არ ურჩიეს, დაეტოვებინათ სამშობიაროში, კოლბაში ჩასვსვამთო?“

შალვა ნათელაშვილი: „ანტიკურ საბერძნეთში ეგეთებს დაბადებისთანავე, ბარბაროსულად ადგებდნენ კლდიდან“.

როლანდ ვარძუკაშვილი: „ჩვენთან ვიცით ხოლმე თქმა, ფულის გულისთვის საყდარში გააკუებსო, რამიშვილი ზუსტად ეგეთია, 1 ლარის გულისთვის იზამს მაგას“.

*newposts.ge*

## თამარ ივერი: „წელიწად-ნახევრის შემდეგ მაგანი იმავე თემით მატერორებს“



– სამწუხაროდ, „ფეისბუკის“ საიტებზე, ვინმე, ვფიქრობ, უცხოელი და საქმეში ჩაუხედავი პიროვნებებისგან ვრცელდება მორიგი დეზინფორმაცია, თითქოს მე ღია ჰომოფობიური წერილით მივმართე ბატონ პრეზიდენტ მარგველაშვილს.

საქმე ისაა, რომ ამ „კეთილისმსურველმა“ ინტერნეტით აღმოაჩინა შარშანდელი, ინტერნეტში ჩარჩენილი ინგლისურენოვანი ლინკი 17 მაისის მოვლენების შესახებ. სტატიაში ნახსენებ სიტყვა პრეზიდენტს მიხედვით შეიტყო, რომ საქართველოს პრეზიდენტი ბატონი მარგველაშვილია და ავტომატურად ჩათვალა, რომ აღნიშნული წერილი მას ეკუთვნის და ახლა ხდება ეს ყოველივე. საქართველოდან ასეთი არაკომპეტენტური ინფორმაცია ნამდვილად არ გავიდოდა. არადა, ეს არანაირი წერილი, არამედ შარშანდელ, იმ ყბადაღებულ „ფეისბუკის“ პოსტზეა საუბარი, რაზეც უკვე საკმაოდ დაიწერა, რაზეც მრავალჯერ გავაკეთე ახსნა-განმარტებითი განცხადება და ოფიციალური ბოდიშის წერილიც მივწერე „იდენტობის“ დირექტორს, ბატონ ირაკლი ვაჭარაძეს.

ალბათ, უცხოეთში იმ ვინმეს ძალიან გაუხარდა ამ 1 წლის წინანდელი ამოწურული ამბის ინტერნეტ სივრცეში აღმოჩენა, ხელახლა ამოტივტივება და ამ ამბით ახლა ჩემი პროვოცირება. მაინტერესებს, ერთი წლის განმავლობაში ვიმღერე მთელ რიგ ევროპის თეატრებში და რატომღაც მაშინ არ უაქტიურებია ამ პიროვნება? მე როგორც დღეს, ასევე შარშანაც გავაკეთე კომენტარი, რომ ძალიან ვწუხდი და ვწუხვარ ამ ამბის გამო, რომელმაც ჩემი უმცირესობაში მყოფი მეგობრები სულიერად დააზარალა და ჩემდამი ნეგატიურად განაწყო. რეალურად კი, ფაქტი ის არის, რომ ამ პოსტის სასტიკი ფრაზების მიღმა მე არ ვმდგარვარ, ჩემი მეუღლე იდგა, ამის შესახებ, მხოლოდ ახლა გადავლახე ბარიერი და დავწერე სიმართლე. მერწმუნეთ, რომ ამ ამბავმა უდიდესი ტკივილი მომაყენა, ეს ტკივილი დღემდე მომყვება და მან ჩემი ცხოვრება და მეც შემცვალა. მაგრამ არც ის არის კარგი საქციელი, რომ თითქმის წელიწად-ნახევრის შემდგომ მავანმა იგივე თემით მატერორის, საზოგადოებას ის პოსტი დამახინჯებულად, არასწორი, თავისი გემოვნებით ინტერპრეტირებული, გაზვიადებულ კონტექსტში, როგორც ახლახან მომხდარი, ისე მიაწოდოს და საზოგადოება ჩემდამი ნეგატიურად განაწყოს. თუმცა რას ვიზამთ, როგორც ნათქვამია: რაც არ გვკლავს – ის გვაძლიერებს. ამ ინციდენტმა დიდი გაკვეთილი მომცა ცხოვრებაში...

*newposts.ge*

## ლელა კილაძე, კახა ბენდუქიძე და თაკო მერაბიშვილი – გართობა „ნაციონალურად“



„შესანიშნავი სამეული“, ასე დაასათაურა ლელა კილაძის დედამ ნინო კილაძემ სურათი, რომელზეც ვანო მერაბიშვილის მეუღლე – თაკო მერაბიშვილი, კახა ბენდუქიძე და გიგი უგულავას მეუღლე – ლელა კილაძე არიან გადაღებული.

როგორც ცნობილია, თაკოს მეუღლე დაკავებულია და გიგი უგულავას საქმეც სასამართლოშია. აშკარაა, რომ რთული დღეების მიუხედავად, „ნაციონალური მოძრაობის ლიდერები“ და მათი მეუღლეები შეხვედრებსა და გართობას ძველებურად ახერხებენ.

*reitingi.ge*

## „ყოველთვის საკუთარ თავში ვეძებ, გავიგო, რა შეცდომა დავუშვი“



„ცეკვავენ ვარსკვლავების“ გასული სეზონის მონაწილე ნანა ნებიერიძე აცხადებს, რომ ძლიერი ქალია და პრობლემების მოგვარებას დამოუკიდებლად ცდილობს.

– ვიყავი ევროპის ჩემპიონი წყალში ხტომაში, იყო სხვა წარმატებებიც... მერე მქონდა სერიოზული ტრავმა – მე და ნინას მამა გავცილდით, მქონდა პაუზა, მაგრამ მერე ისევ დავიწყე ვარჯიში, რადგან მივხვდი: ეს იყო საქმე, რომელიც კარგად ვიცოდი. იმ მომენტში, ცოტა დაბნეული ვიყავი, დავიკარგე ცხოვრებაში, რადგან ეს ჩემთვის სერიოზული ტრავმა იყო. ამიტომ, რაც კარგად ვიცოდი და მიყვარდა, იქ დავბრუნდი და მივაღწიე კიდეც წარმატებას... ეს ცხოვრებაა და არავინ არაფრისგან დაზღვეული არ არის. არავინ იცის, ხვალ ან ზეგ რა მოხდება. ამიტომ, თუ შენ შინაგანად ძლიერი ხარ ყველაფერს მიაღწევ.... ყოველთვის საკუთარ თავში ვეძებ და ვცდილობ, გავიგო, რა შეცდომა დავუშვი, – განუცხადა ნანა ნებიერიძემ „თბილისელებს“.

*pia.ge*

## მაია დარსმელიძე „ქართული ოცნების“ მაისურიანმა მათხოვარმა გააღიზიანა – „ქოცებო, დატყდით აქედან“



მუსიკოსმა მაია დარსმელიძემ „ფეისბუკით“ შემდეგი შინაარსის სტატუსი განათავსა:

– „ქართული ოცნების“ მაისურიანი მათხოვარი შემხვდა იმ დღეს ლესელიძის ქუჩაზე და ერთი ლარი მაჩუქეო, მთხოვდა. მეგობრების კითხვაზე, დაებმარა თუ არა, მომღერალმა ორაზროვნად უპასუხა, – „ჩემი მაისური რომ სცმოდა...“

ამ კომენტარს მაიას „ფეისბუკელი“ მეგობრების აგრესიული კომენტარები მოჰყვა. მომღერალს სტატუსი დაუწუნეს.

– გასაოცარი ამბავია, ადამიანს, რომელსაც პურის ფული არ აქვს, სავარაუდოდ, არც ახალი „ზმანის“ ფული ექნება და მისთვის სულ ერთია, „ოცნების“ მაისური აცვია თუ მელიას გამოსახულებიანი, ციფრი 5-ით მოქარგული.

– ხუთნომრიან მაისურს ჩაიცვამს, რომ იცოდეს, ხვალ ერთ ლარს მისცემ. მათხოვარი მათხოვარია, რა მნიშვნელობა აქვს, რა აცვია ან რა დატვირთვით.

– იქნებ სულაც არ ჰქონდა პოლიტიკური დატვირთვა და სხვა მაისურის არქონის გამო ეცვა...

მსგავსი შინაარსის კომენტარები მაიას სტატუსის ქვეშ ბევრი გაჩნდა. როგორც ჩანს, მომღერალი ტაშისდამკვრელთა სიმცირემ გაანაწყენა და თავადაც არ დარჩა ვალში, როგორც თავად უწოდებს, „ქოცების“ გულშემატკივრებს.

მაია დარსმელიძე:

– 5-ნომრიანს თუ ჩაიცვამს, მივხვდები, რომ ადეკვატური ადამიანია, 10 ლარს მივცემ და კიდევ კოორდინატებს გავუზიზრებ... ვგიჟდები „ქოცთა“ ალოგიკურ ლოგიკაზე. „ქოცებო“, დატყდით აქედან. მე ვის როგორ ვეხმარები, თქვენ ანგარიშს არ ჩაგაბარებთ. და რა შუაშია აქ თქვენი „სუპერჰუმანური“, პოპულისტური ნიანგის ცრემლები და ლექციები „არაადამიანურ საქციელზე“. რა გამიკვირდა პრინციპში, ეს ყალბი პათოსი, დაჩაგრული ადამიანების პოპულისტურად გამოყენება და ამ თემებით სპეკულირება თქვენი „ქოცკრედოა“.

*reitingi.ge*

## ნუკა კვალიაშვილი: „დედაშენი რას წუწუნებს, თუ 1400-ლარიან ტელეფონებს ყიდულობო“



მომღერლის თქმით, მან თავისი გასაკეთებელი გაუკეთა დედამისს და იმდენჯერ დაეხმარება, რამდენჯერაც მას დასჭირდება.

– ვიყიდე ტელეფონი, ათას ოთხასი ლარი გადავიხადე. მაგრამ მე ეკა ვარ?! მე ხომ ეკას შვილი ვარ. სიმღერაში ანაზღაურებას მიხდიან და ვინ რა იცის, რამდენს? დავუშვათ, ერთ სიმღერაში ვიღებ ორი ათას ლარს, იქნებ, მე ნახევარს დედაჩემს ვაძლევ, იცის ვინმემ?! მწერდნენ, დედაშენი რას წუწუნებს, თუ 1400-ლარიან ტელეფონებს ყიდულობო... იმათ გავეცი საკადრისი პასუხი. რა გამოდის, საჭმლის ფულიც უნდა გავცე? მეც ხომ მჭირდება რაღაც, პატარა შვილი მყავს, ბოლოს და ბოლოს. ეს ძალიან დაბალი დონის შეგნებაა, გაბოროტებაა, შურია, რაც, სხვათა შორის, უკან ბრუნდება, ყველამ კარგად იცოდეს. ამით მე არაფერი მაკლდება. მე ჩემი გასაკეთებელი გაკეთებული მაქვს დედაჩემისთვის და იმდენჯერ დაუდგები გვერდით, რამდენჯერაც დასჭირდება, მაგრამ ვინც ენას ატლიკინებს, იმან რა გააკეთა საერთოდ?! – აცხადებს კვალიაშვილი.

*pia.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





– ბებია, სისხლი გემრიელია?

– მე რა ვიცი, შვილო, საიდან მოიტანე?

– რა ვიცი, მამიკომ თქვა, ბებიაშენმა მთელი სისხლი გამომწოვაო...

– ტვინი არ აქვს მამაშენს და იმიტომ თქვა ეგრე!

– ჰო, ვიცი – ტვინი ხომ ამ გაზაფხულზე უკვე შეუჭამე...

*****

ქმარი ცოლს:

– ძვირფასო, რა სასიამოვნო სურნელი გაქვს...

– ჰო, გუშინ რომ მაჩუქე, ის სუნამო ვიპკურე.

– მე შენთვის სუნამო არ მიჩუქებია!

– გიჩუქებია, გიჩუქებია – საფულეში ჩაიხედე...

*****

– როგორ გაგიშვა ქმარმა ღამის კლუბში?

– რა ვიცი – ქაფით სავსე აბაზანა მოვუმზადე და...

– მართლა? და ამან შეაჩერა?

– ჰმ! მომენტალური ქაფი რასაც გინდა, იმას შეაჩერებს!..

*****



მამაკაცი სექსოპათოლოგთან მივიდა. ჩაიხადა შარვალი – „სიამაყე“ სულ 1-სანტიმეტრიანი აქვს.

ექიმი:

– რა იყო, უჩივით რამეს?

– არა, ბიჭო, გეტრაბახები!!!

*****

მამა სრულწლოვან შვილს:

– ბიჭო, წელან შენს ოთახში პრეზერვატივები ვიპოვე.

– ხოო? კარგია, გილოცავ, ბაბუ!

– ბაბუას რატომ მეძახი?

– იმიტომ, რომ წუხელ მე ვერ ვიპოვე...

*****

– დღეს რას აკეთებ?

– არაფერს!

– გუშინაც არაფერს აკეთებდი და...

– ჰო, ვერ მოვასწარი დამთავრება!

*****

– რატომ წამოხვედით წინა სამსახურიდან?

– დაღლილობის მიზეზით.

– რას ნიშნავს, დაღლილობის მიზეზით?

– რა ვიცი, ასე მითხრეს, ყველა ძალიან დაგვღალეო...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## შვედეთის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს სქესი წაართვეს



ეს ოხერი, სქესი მხოლოდ იმიტომ ხომ არ აქვთ ადამიანებს, რომ სიგრძესა და სიღრმეში იყოს სხვაობა, არა?! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძლიერი სქესის წარმომადგენლები მშვენიერ სქესთან ურთიერთობასა და თავდაჭერას უნდა სწავლობდნენ. ბაღის ასაკიდან კი, როცა ბავშვებს თავში ჩაუბეჭდავ, რომ მათ სქესი სულაც არ აქვთ, რა შედეგსაც მიიღებენ წიაღსვლის ავტორები, სულ თავიანთ ცხვირ-პირს გაუყონ.

როგორც ირკვევა, სტოკჰოლმის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში 33 ბავშვი სქესის გარეშე დარჩა. ამიერიდან აღარავითარი გამორჩევა ბიჭებსა და გოგონებს შორის – ყველა ერთი გახდა, აი, ასე! ცნობილია ისიც, რომ ბავშვებს უფლება აქვთ, ერთმანეთს მხოლოდ „მეგობაროთი“ მიმართონ. ამასთანავე, ეს სიტყვა, რომელიც შვედურად ჟღერს, როგორც „ჰენ“, გეების ჟარგონიდანაა აღებული.

ალბათ, იტყვით, სულ გადავიდნენ ჭკუიდან ეს უჯიშოებიო, არა?! გეთანხმებით, ასეც არის, თუმცა თავად ასეთი შეფასება შეაშფოთებთ, ტუჩებს მოპრუწავენ და იტყვიან: „ჩვენ, გენაცვალე, თანაბარ უფლებიანობისთვის ვილვწითო“... ისემც მაგათი კურკლი გახმეს!

– ამ სიტყვას (საუბარია „მეგობაროზე“) მაშინ ვიყენებთ, როცა ბაღში, მაგალითად, ექიმი, პოლიციელი ან ელექტრიკოსი მოდის. არ ვიცით, ვინ იქნება ის – ქალი თუ მამაკაცი. ამდენად, ბავშვებს ვეუბნებით, რომ „მეგობარი“ მოდის და მათაც შეუძლიათ, ან ერთი წარმოიდგინონ, ან მეორე, – ასე განმარტავს ამ უაზრო იდეას ბაღის გამგე, 52 წლის ლოტა რაიალინი.

მისივე თქმით, საზოგადოება ელის, რომ გოგონები იქნებიან ქალურები და მომხიბვლელები, ბიჭები კი – მამაკაცურები და მოუხეშავები, „ჩვენ კი ვაძლევთ მათ საშუალებას, როგორებიც უნდათ, ისეთები იყვნენ“...

და კიდევ ერთი: ბაღის ბავშვებს არავინ უკითხავს პატარების საყვარელ ზღაპრებს, სამაგიეროდ, უყვებიან ისტორიებს პედერასტი ჟირაფების შესახებ, რომლებიც ნიანგების კვერცხებს უვლიან და ასე შემდეგ.

ყველაზე უცნაური ის არის, რომ ამ სიახლეს მშობლები არ აპროტესტებენ. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ იქაური მედია კრინტსაც კი არ ძრავს. ჰოდა, კიდევ ვიმეორებთ: რა შედეგსაც მიიღებენ ბავშვების ასეთი აღზრდით, სულ თვითონ დაიტოვონ!..

***ul.kp.ru***

## მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული გასაქირავებელი ვილები



ჭკვიანი ადამიანი, თუკი, რა თქმა უნდა, ფინანსურადაც ძლიერია, ფულს მხოლოდ გართობაში კი არ მიაფშვნის, უძრავ ქონებასაც შეიძენს, თუნდაც, ერთ სახლს მაინც.

ჰოდა, ვინც ჭკუა იხმარა და საკუთარი ქონება სოლიდური სახლებით შეავსო, ისეთ მოგებას ნახავს, უკეთესს რომ ვერ ინატრებს კაცი.



შვებულებების სეზონის მოახლოებასთან ერთად, ტურისტებისთვის სხვადასხვა კომპანია განსაკუთრებულ წინადადებებს ამზადებს, ზოგი კი იმაზე ზრუნავს, წინასწარ იყოს ცნობილი, სად შეიძლება ყველაზე ძვირადღირებული ვილის დაქირავება და შვებულების ფუფუნებაში გატარება.

ამ მიზნით ერთგვარი რეიტინგი საერთაშორისო კომპანია „ევანსის“ ექსპერტებმა შეადგინეს და გაარკვიეს, რა ფასები აქვთ მსოფლიოს პოპულარულ კურორტებზე ფეშენებელურ ვილებს.

პირველი ადგილი წილად ხვდა ვილას საფრანგეთში, რომლის ქირაობა თვის მანძილზე 360 ათასი ევრო ღირს. ვილა ზღვისპირა ალპებში, კაპ ფერას რაიონში მდებარეობს. მასში გამოყოფილია 2 უძვირფასესი საძინებელი. უზარმაზარი აუზი, ჩოგბურთის კორტები და მოკლედ, რა გინდა სულო და გულო.

მეორე პოზიციაზეა ვილა ფორტ-დეი მარმიში (იტალია), რომლის თვიური ქირა 210 ათასი ევროა. სახლში 6 საძინებელია, 6 სააბაზანო, დიდი სამზარეულო, სასადილო. აქვს აუზი და 0,4 ჰექტარზე გაშენებული ულამაზესი ბაღი.

რეიტინგის მესამე საფეხური საბერძნეთში, კერძოდ კი კუნძულ მიკონოსზე აგებულმა ვილამ დაიკავა თვიური გადასახადით 150 ათასი ევრო. სახლს აქვს 6 საძინებელი 6 სააბაზანო, აუზი და ასე შემდეგ.

137 ათასი ევროთი მეოთხე ადგილი იბიცას (ესპანეთი) ვილამ დაიკავა, მეხუთეზეა 45-ათასიანი რეზიდენცია ჩერნოგორიაში.

ყველაზე „იაფად“ ვილის დაქირავება კვიპროსზე შეიძლება – 16,3 ათასი ევრო.

მოკლედ, ვინც გაქაჩავს, ასეთი თანხები გადაიხადოს დასვენებისთვის, ამ ზაფხულს ისე დაისვენებს, არასოდეს დაავიწყდება... რა მაგარია ცხოვრება, როცა კარგად ცხოვრების საშუალება არსებობს, არა?..

***top.rbc.ru***

## მეცნიერების მტკიცებით, მარსზე ფეხბურთის თამაში შეიძლება



ისეთი უცნაურობები ხდება ფეხბურთის მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, შეიძლება ვინმემ იფიქროს, აშკარად უცხოპლანეტელების ხელი თუ ურევიაო... ჰო, სწორედ უცხოპლანეტელების, რომელთაც მინიმუმ მხოლოდ მარსზე მაინც ექნებათ ბურთი გაგორებული.

ბრიტანელი მეცნიერების მტკიცებით, მარსზე ყველანაირი პირობა არსებობს იმისთვის, რომ იქ საფეხბურთო მატჩი პრობლემების გარეშე წარიმართოს.

ერთი კია, ლესტერის უნივერსიტეტის თანამშრომლები აკონკრეტებენ, რომ მარსზე ბურთის გაგორებისთვის წესების შეცვლა იქნება აუცილებელი.

ასე მაგალითად, წითელ პლანეტაზე ბურთი ოთხჯერ შორს გაფრინდება, ვიდრე დედამიწაზე, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია. ასევე, არ გამოვა ჩახვეული ბურთის დარტყმა.

მოკლედ, ჯერ მარსზე ფეხი არ დაუდგამთ ადამიანებს და იქ უკვე წესებშეცვლილი ფეხბურთის დამკვიდრებაზე ფიქრობენ.

ისე, სადაც ფეხბურთი, იქაც წრეში ბურთი. მით უმეტეს, რომ ბურთი უფრო შორს გაფრინდებაო...

***ura-inform.com***

## სტიქიის სურნელი პირდაპირ... საწოლში



იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ზაფხული ნანატრი შვებულებების პერიოდია, სხვადასხვა კომპანია და დაწესებულება დამსვენებლების მისაზიდად უამრავ უჩვეულო ხერხს იყენებს და თქვენს ყურადღებას შედარებით ყველაზე საინტერესოზე შევაჩერებთ.

როგორც ირკვევა, ბრიტანეთის სასტუმროების ქსელი – „თრეველოჯი“ სტუმრებს მათივე სურვილისამებრ შერჩეული სურნელით გაჟღენთილ ბალიშებსა და ქვეშაგებს შესთავაზებს.

აღნიშნული სასტუმროების ქსელი სტუმრებს სულ ხუთ არომატს სთავაზობს: ზღვის, ახლად მოჭრილი ბალახის, ახლად გაღვიძებული ბავშვის, ვაშლის ნამცხვრის და შოკოლადის.

თურმე, ყველაზე დიდი პოპულარობით ზღვის სურნელი სარგებლობს, რადგან დამსვენებლების დაახლოებით 60 პროცენტი საკუთარ არჩევანს სწორედ ზღვის უჩვეულო არომატზე აკეთებს.

***myjane.ru***

## რა რაოდენობით სითხის მიღებაა საჭირო ცხელ ამინდებში



რომ არა მაცივარი, წარმოიდგინეთ, რა საშინელება იქნებოდა ზაფხულის ცხელ ამინდებში ცხოვრება, მაგრამ მაინც რთული გასარკვევია, რა რაოდენობის სითხე უნდა მიიღოს ადამიანმა, რათა სიცხისგანაც ამოისუნთქოს, წყურვილიც მოიკლას და რაც მთავარია – ორგანიზმში წყლისა და მარილის შემცველობაც აკონტროლოს.

როგორც აღმოჩნდა, ამ ყველაფრის განსაზღვრა არც ისეთი რთული საქმე ყოფილა.

ნორმალური ტემპერატურისა და ზომიერი ფიზიკური აქტიურობის შემთხვევაში, ადამიანმა დღეში მინიმუმ ერთი ლიტრი წყალი უნდა მიიღოს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ტემპერატურა მაღალია, ცხადია, აღნიშნული მაჩვენებელიც მატულობს.

რაც შეეხება წყლის დღიური მიღების მაჩვენებელს, საშუალოდ, ადამიანმა 2,5 ლიტრი სითხე უნდა მიიღოს, საიდანაც 1,5 ლიტრი ე.წ. თავისუფალი სითხეა. მაგალითად, ჩაი, ყავა, წვნიანი და ასე შემდეგ.

იმ შემთხვევაში, თუკი დღის განმავლობაში ადამიანს მძიმე სამუშაოს შესრულება უწევს და ოფლთან ერთად არა მხოლოდ სინოტივეს, არამედ, მარილსაც კარგავს, აუცილებელი ყოფილა წყალში მცირე რაოდენობით მარილის შერევაც.

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის სპეციალისტების რეკომენდაციით, ორგანიზმისთვის აუცილებელი სითხის რაოდენობა ადამიანმა საკუთარი წონის მიხედვით უნდა განსაზღვროს. ასე მაგალითად, ზრდასრულ ადამიანს ყოველ ერთ კილოგრამზე დღეში 30 მილიგრამი სითხე ესაჭიროება. ხოლო იმათ, ვინც გამხდრობით იტანჯება, ექსპერტები ურჩევენ, ყოველი ერთი კილოგრამის გათვალისწინებით, სითხე 100 მილიგრამის ოდენობით მიიღონ.

***medkarta.com***

## სტრესის მოხსნაში სხვადასხვა სურნელი დაგეხმარებათ

იაპონელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ სხვადასხვა არომატის შესუნთქვა ორგანიზმში სერიოზულ ცვლილებებს იწვევს. კერძოდ, იცვლება გენების აქტიურობა და სისხლის მიმოქცევა. შედეგი კი ასეთია – მცირდება დაძაბულობის დონეც.

სპეციალისტები გვახსენებენ, რომ არომათერაპიას განტვირთვისთვის და მშვიდი ძილისთვის ჯერ კიდევ უხსოვარ დროშიც მიმართავდნენ. დღეს კი იგი არატრადიციული მედიცინის განუყოფელ ნაწილად არის ქცეული.

იაპონელი სწავლულები მიიჩნევენ, რომ არომათერაპია აუცილებლად უნდა გამოიყენებოდეს ტრადიციულ მედიცინაშიც, რადგან ის, სტრესის გარდა, ადამიანის ძალიან ბევრი სხვა პრობლემის მოგვარებასაც ახერხებს და სხვადასხვა მცენარეს დაახლოებით 100-მდე გენის მუშაობის შესუსტება შეუძლია, რომელიც სტრესის ჩამოყალიბებას იწვევს.

***medkarta.com***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



1. მექრ-ქებიანი ბაყაყი
2. ლურჯი ვეშაპის საკვები
3. „იდიოტი“ ავტორი
4. ზიგზაგის ფორმის გრაფიკი
5. სამოსი ფიგურის კორექციისათვის
6. მომღერალი ... დიონი
7. უმცროსი სამედიც. პერსონალი
8. მიმართვა იაპონელი ქალისადმი
9. რეჟისორი სერგეი ...
10. მწერალი არტურ კონან ...
11. ფირმა „...-პარი“
12. მდინარე საფრანგეთში
13. მსახ. დონატას ...
14. მელ გიბსონი ფილმში
15. ვახტანგ ჭაბუკიანი ბალეტში
16. პარფიუმერული სითხე
17. ქვეითი ჯარის-კაცი ოსმალეთში
18. ნივთიერება. მიიღება სისხლის პლაზმისგან
19. აეროპორტი ქუთაის-თან
20. მომღერალი ალანის ...
21. ზრდადაუსრულებელი ქათამი
22. მსახიობი ჯონ ...
23. მექსიკური ქუდი
24. ლატვიის დედაქალაქი
25. კუნძული აფრიკასთან
26. ორსახა ღმერთი
27. დამპყრობელი ... კორტესი
28. ვიეტნამის დედაქალაქი
29. თავისუფალი სამუშაო ადგილი
30. ბრიუს უილისი ფილმში
31. მსახიობი ... ლონგორია
32. ხორთუმიანი ცხოველი
33. ... პოპესკუ გოპო
34. ქოქოსის გული
35. ჩაით გაშენებული ადგილი
36. უქოჩრო თუთიყუში
37. ტარზანის როლში ჯონი ...
38. დედამიწის მიზიდულობა
39. შავი საიუველირო მინერალი
40. სავანის ბინადარი ფრინველი
41. მსახიობი ვიტორიო ...
42. მდინარე ინდოეთში
43. პატარა გამხდარი ადამიანი
44. სპორტ. შეჯიბრის დასაწყისი
45. ვულკანი სიცილიაზე
46. თოჯინა ლურჯი თმებით
47. გადასამრავლებელი ხელსაწყო
48. მწერი
49. ერთყურიანი სათვალე
50. რა იზრდება ქვაზე
51. რაიმეს სახელური
52. იგავი „მგელი და ...“
53. ლითონის წვრილი ფული
54. თვითმფრინავის ბორბალი
55. სიახლე, ანუ ...
56. დუმბაძე. „მარადისობის ...“
57. საათის ციფრებიანი ფირფიტა
58. მწვანე მინერალი
59. ადამიანობობა
60. ილფი და პეტროვი. „ოქროს ...“
61. ქვანახშირის აუზი გერმანიაში
62. ებრაული რიტუალ. ხმიადი
63. ნიავი
64. მემარცხენე ადამიანი
65. კაცუნა ზურგზე პროპელერით
66. მთამსვლელი
67. მოვლენა: ჩრდილოეთის ...
68. ... ხრენნიკოვი
69. მთიდან არეკლილი ხმა
70. მსახიობი ჟერარ ...
71. ცოდვების გამოსასყიდი ფურცელი
72. მწერალი ... იოსელიანი
73. ელვის ... პრესლი
74. ციებცხელება
75. ძვლების დაავადება
76. რუსი თავადი ძველად
77. დიდი ციგა
78. მსახიობი ნუგზარ ...
79. გულის მთავარი სისხლძარღვი
80. დადებითი ელექტროდი
81. ისრაელის დედაქალაქი
82. მკურნალი, ანუ ...
83. დაკოდილი ცხენი
84. სახელმწიფო აფრიკაში
85. ჩეხოვი. „... №6“
86. მარჯნის კუნძული
87. პორტი საფრანგეთში
88. მსახიობი ... დემონჯო
89. ძველი ასურეთის დედაქალაქი
90. მსახიობი ჯულიეტა ...
91. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
92. შენობა. ჭრიდნენ მონეტებს
93. ფრინველის რქოვანა პირი
94. ტროპიკული ნაყოფი
95. მომღერალი ... მატიე
96. კურორტი წარაგაულის რაიონში
97. მსახიობი ... სპეისეკი
98. ბრედ პიტი ფილმში
99. მსახიობი ... ბროუდი
100. კურორტი თურქეთში
101. მისი დედაქალაქია დამასკო
102. ფარული დაცინვა
103. ინის საპირისპირო
104. შტატი აშშ-ში
105. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
106. ხერხემლის გაღუნვა წინისკენ
107. შინაური პირუტყვი
108. ხის სახლის მშენებელი
109. რბილი ავეჯი
110. მსახიობი ... კალკინი
111. ვიოლინოს წინამორბედი
112. ვარამი
113. მსახიობი ... აბაშიძე
114. ბრინჯის კერძი
115. წრიული (ძვ.)
116. მსახიობი მეგ ...
117. სიყვარულის ღმერთი ბიჭუნა
118. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
119. აუქციონზე გატანილი ნივთი
120. კონტინენტი
121. სოფელი რაჭაში
122. ბაბუა, ანუ ...
123. „ქალი კამელიებით“ მარგარიტა ...
124. მარცხი
125. ხელოვნური ენა
126. ... სულაკაური
127. ... პუგაჩოვა
128. ფიგურული ჭრა ნეზე
129. ... ცეცხლს შუა
130. ცხენებშებმული ტრანსპორტი
131. გაუშლელი ყვავილი
132. რუსი ილუზიონისტი
133. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
134. ჟამი
135. პოლიცია სკოტლენდ ...
136. სათლი
137. ტენორი ... ლანცა

პასუხები: 1. გომბეშო; 2. პლანქტონი; 3. დოსტოევსკი; 4. სინუსოიდა; 5. კორსეტი; 6. სელინ; 7. სანიტარი; 8. ტიან; 9. ფარაჯანოვი; 10. დოილი; 11. ისი; 12. ლუარა; 13. ბანიონისი; 14. „პატრიოტი“; 15. „ლაურენსია“; 16. სუნამო; 17. იანიჩარი; 18. შრატი; 19. კოპიტნარი; 20. მორისეტი; 21. ვარია; 22. ტრავოლტა; 23. სომბრერო; 24. რიგა; 25. მადაგასკარი; 26. იანუსი; 27. ერნან; 28. ჰანოი; 29. ვაკანსია; 30. „არმაგედონი“; 31. ევა; 32. ტაპირი; 33. იონ; 34. კოპრა; 35. პლანტაცია; 36. არა; 37. ვაისმიულერი; 38. გრავიტაცია; 39. გიშერი; 40. მარაბუ; 41. გასმანი; 42. განგი; 43. ჩია; 44. სტარტი; 45. ეტნა; 46. მალვინა; 47. ქსეროქსი; 48. კალია; 49. ლორნეტი; 50. ხავსი; 51. ტარი; 52. კრავი; 53. ხურდა; 54. შასი; 55. ინოვაცია; 56. კანონი; 57. ციფერბლატი; 58. მალაქიტი; 59. სპაიდერმენი; 60. კერპი; 61. რური; 62. მაცა; 63. სიო; 64. ცაცია; 65. კარლსონი; 66. ალპინისტი; 67. ციალი; 68. ტიხონ; 69. ექო; 70. ფილიპი; 71. ინდულგენცია; 72. ოტია; 73. აარონ; 74. მალარია; 75. რაქიტი; 76. ბოიარი; 77. მარხილი; 78. შარია; 79. აორტა; 80. ანოდი; 81. იერუსალიმი; 82. ექიმი; 83. იაბო; 84. სენეგალი; 85. პალატა; 86. ატოლი; 87. მარსელი; 88. მილენ; 89. ნინევია; 90. მაზინა; 91. მისისიპი; 92. ზარაფხანა; 93. ნისკარტი; 94. მანგო; 95. მირეი; 96. ნუნისი; 97. სისი; 98. „ტროა“; 99. ედრიან; 100. ანტალია; 101. სირია; 102. ირონია; 103. იანი; 104. ნევადა; 105. ესე; 106. ლორდოზი; 107. ხარი; 108. ხურო; 109. დივანი; 110. მაკოლეი; 111. ვიოლა; 112. დარდი; 113. დოდო; 114. ფლავი; 115. უსტარი; 116. რაიანი; 117. ამური; 118. მალტა; 119. ლოტი; 120. აზია; 121. ირი; 122. პაპა; 123. გოტიე; 124. ფიასკო; 125. იდო; 126. ზაალ; 127. ალა; 128. ინკრუსტაცია; 129. ორ; 130. ეტლი; 131. კოკორი; 132. კიო; 133. მექა; 134. დრო; 135. იარდი; 135. ვედრო; 137. მარიო. იკითხება: მარაო.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ნასვამმა მძღოლმა შემთხვევით მეტროს გვირაბში შეუხვია



გერმანიის ქალაქ ბოჰუმში მეტროსა და ავტომობილების გვირაბები ისე უცნაურადაა აგებული, რომ თურმე მძღოლებს მათი ერთმანეთისგან გარჩევა ძალიან უჭირთ, თუმცა დაშვებულ შეცდომას ისინი მალევე არკვევენ და ყველაფერი განსაკუთრებული გაგრძელებების გარეშე სრულდება.

ჰოდა, მორიგი ასეთი კურიოზული შემთხვევა დაფიქსირდა გასულ დღეებში, რომლის მთავარი გმირი ნასვამი გერმანელი აღმოჩნდა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ გვირაბში სიარული მან მშვიდად გააგრძელა და კინაღამ სიცოცხლეს გამოესალმა.

როგორც ირკვევა, 34 წლის მიხეილ შლიფე მეგობრის დაბადების დღიდან ბრუნდებოდა და „ჟანგიან ხახაში" რამდენიმე კათხა გერმანული ლუდი ჰქონდა გადაშვებული.

სამწუხაროდ, მძღოლმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა და შემთხვევით, მეტროს გვირაბისკენ გადაუხვია და ისე, რომ საფრთხის შესახებ არაფერი იცოდა, გზა არხეინად განაგრძო.

სამართალდამცველების ინფორმაციით, შლიფემ დაახლოებით 600-700 მეტრის გავლაც კი შეძლო, როცა მისკენ მიმავალი მატარებელი დალანდა და იმის მაგივრად, რომ უკანა სვლით თავის შველა ეცადა, მოძრაობა არც კი შეანელა და მატარებლის გზიდან ჩამოცილება სიგნალებით სცადა, რაც, ცხადია, არ გამოუვიდა.

საბოლოო ჯამში, მან ავტომობილის სალონიდან გადმოხტომა მოასწრო და დაზიანებების გარეშე გადარჩა, თუმცა მანქანა ჯართში ჩასაბარებელი გაუხდა...

*autoportal.ua*

## 16 წლის გაუპატიურებულ გოგონას 101 როზგი მიუსაჯეს, მოძალადე კი... გაამართლეს



ეს საზიზღარი შემთხვევა ბანგლადეშში მოხდა და ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი სრულიად სამართლიანად შეძრა: 16 წლის გაუპატიურებულ გოგონას უხუცესთა სასამართლომ 101 როზგი მიუსაჯა, 20 წლის მოძალადე კი ყოველგვარი გართულების გარეშე გაათავისუფლა.

მოზარდის უბედურება იმითიც დამძიმდა, რომ გაუპატიურების შედეგად დაფეხმძიმდა და ქმარმა სახლიდან გააგდო.

გამოძიების ინფორმაციით, გოგონაზე ძალა 20 წლის თანასოფლელმა იხმარა. შემთხვევა რატომღაც არ გახმაურდა და გოგონა გაათხოვეს. ერთ თვეში მას ორსულობა დაუდგინდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ნაყოფი უკვე შვიდი თვის იყო. შედეგად მოხდა ის, რომ შვიდი თვის ფეხმძიმე მოზარდს აბორტი გაუკეთეს, სახლიდან გააგდეს და ბოლოს განაჩენის გამოსატანად უხუცებს მიჰგვარეს. როგორც უკვე გითხარით, მას გაროზგვა მიესაჯა და სასჯელის სისრულეში მოყვანის შემდეგ გოგონა 2 საათი კომატოზურ მდგომარეობაში ჩავარდა. გარდა ამისა, მამამისი 1000 ტაკით (დაახლოებით 160 აშშ დოლარი) დააჯარიმეს, რომელსაც თუ ვერ გადაიხდიდა, მთელ ოჯახს სოფლიდან განდევნიდნენ.

რატომ გაამართლეს მოძალადე, სამწუხაროდ, არ ზუსტდება, თუმცა ამის გარეშეც ადვილი მისახვედრია, რომ უხუცესების მიერ გამართული სასამართლო ერთი დიდი აბსურდის თეატრი იყო.

*newsru.com*

## პატიმრობა... მოჩვენებას მიუსაჯეს



ნათქვამია, მიზანი ამართლებს საშუალებასო, მაგრამ მიდით და სასამართლო დაარწმუნეთ ამაში, თუ მაგრები ხართ!

როგორც ირკვევა, იტალიის ქალაქ მერანოს მკვიდრი 42 წლის ქალბატონი, რომლის ვინაობა არ კონკრეტდება, ამ ცოტა ხნის წინათ ოთხი თვით ციხეში მიაბრძანეს იმის გამო, რომ წლების განმავლობაში ის ერთ-ერთ უძველეს სასახლეში მოჩვენებად ასაღებდა თავს და დამთვალიერებლებსაც ასეთი გზებით იზიდავდა.

ალბათ, რთული წარმოსადგენი სულაც არ არის, როგორ უნდა გაასაღოს ადამიანმა თავი მოჩვენებად – ფანტაზია და მარჯვე ხელები – აი, ამის პასუხი.

მოკლედ, რამდენიმე წელი იტალიელი ქალი მე-17 საუკუნეში აგებულ სასახლეში „მოჩვენების" ხილვის მსურველი სტუმრების გამასპინძლებას ვერ აუდიოდა და რაც მთავარია, ამაში საკმაოდ სოლიდურ თანხებსაც იღებდა.

ჰოდა, როგორც იქნა, გაირკვა, რომ მერანოს სასახლეში არავითარი მოჩვენება არ ბინადრობდა და საქმე ჩვეულებრივ თაღლითობასთან გვქონდა – ერთ-ერთი დამთვალიერებელი ნანახით იმდენად შეცბა და შეშინდა, რომ უჩვეულო გარეგნობის მქონე არსებას თავში ყავარჯენი ესროლა და გონებაც დააკარგვინა, ხოლო, როცა მიუახლოვდა, „მოჩვენებაში" დიასახლისი ამოიცნო.

*izvestia.com.ua*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**24 ივნისი:** შეიძლება აღმოჩნდეთ სიტუაციაში. რომელსაც ვერ აკონტროლებთ, ფრთხილად იყავით, გაუაზრებლად ნაბიჯი არ გადადგათ.

**კურო 22.04-21.05**
**24 ივნისი:** შეეცადეთ, ლოგიკურად იმსჯელოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენმა წარმოსახვამ შეიძლება, ჩიხში შეგიყვანოთ, საიდანაც სხვის დაუხმარებლად ვერ გამოხვალთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
24 ივნისი: შესაძლოა, თქვენს წარმოსახვასთან გამკლავება გაგიჭირდეთ და ისეთი რამ მოიმოქმედოთ, რასაც ახსნას ვერ მოუძებნით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**24 ივნისი:** ისე იმოქმედეთ, რომ თქვენი ყოველი ნაბიჯი თვალსაჩინო იყოს. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ, თუ უმოქმედობაში დაგადანაშაულებენ, არგუმენტები მოიყვანოთ.

**ლომი 23.07-22.08**
**24 ივნისი:** ძალიან ბევრი თავისუფალი დრო გექნებათ. ამისთვის წინასწარ მოემზადეთ, თორემ დიდ სიამოვნებას ამ თავისუფლებით ვერ მიიღებთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**24 ივნისი:** ახლობლის გახარება დიდი სიამოვნებაა და დღეს სწორედ ამის საშუალება მოგეცემათ. ზედმეტები არ მოგივიდეთ, საკუთარი თავიც გაიხსენეთ ხანდახან.

**სასწორი 23.09-22.10**
**24 ივნისი:** დღეს სევდა ახლოსაც კი არ მიიკაროთ. შეეცადეთ, ბევრი იურთიერთოთ, ახლობლები მოინახულეთ და ბევრ საინტერესო ამბავს გაიგებთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**24 ივნისი:** ნებისმიერ წამს მზად უნდა იყოთ ვიღაცის დასახმარებლად და არც კი უნდა იფიქროთ, რამდენად დააზარალებს ეს თქვენს საქმეებს. შემდგომში ამოქაჩავთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**24 ივნისი:** საკმაოდ ენერგიული იქნებით. შეეცადეთ, რაციონალურად გამოიყენოთ, თანაც ისეთ საქმეებში, რომ სინანული და შეცდომების გამოსწორება არ მოგიწიოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**24 ივნისი:** თქვენი განწყობა საკმაოდ გადამდები იქნება. შეეცადეთ, კარგ ხასიათზე იყოთ და გარშემომყოფნი არ დაასევდიანოთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**24 ივნისი:** თქვენი ამა თუ იმ მოქმედებების მიზეზთა გასაჯაროება საჭირო არ არის. ვიღაცას ეს ძალიან არ მოეწონება.

**თევზები 19.02-20.03**
**24 ივნისი:** დღეს თეთრი ყვავივით გამორჩეული იქნებით. ეს განსხვავებულობა თქვენს სასარგებლოდ გამოიყენეთ და არავითარ შემთხვევაში არ დაიმალოთ.

გაზეთი ალია

**სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს**

**ანაზღაურება 640 ლარიდან**

**გამოცდილ ჟურნალისტს საინფორმაციო სააგენტოებზე მუშაობის პრაქტიკით – საინფორმაციო სამსახურის რედაქტორად.**

**ანაზღაურება 800 ლარი**

ტელ: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი 15 სთ-დან

## რუსეთში ვამპირთა დაცვის ფრონტი ამოქმედდება



ქვეყანაში, სადაც არად აგდებენ ადამიანების სიცოცხლეს, სახელმწიფოების დამოუკიდებლობა-სუვერენიტეტს, ადამიანებს ეროვნების გამო ავიწროებენ, ცხვირ-პირს ამტვრევენ და კლავენ, უახლოეს მომავალში ვამპირთა და სხვა „არაადამიანთა" დაცვის ფრონტი დაიწყებს მუშაობას.

ორგანიზაციის დარეგისტრირებისთვის უკვე დაიწყო ზრუნვა სანკტ-პეტერბურგში, იდეა კი ერთ-ერთი რუსული სოციალური ქსელის დამფუძნებელს ეკუთვნის, რომელიც ორიენტირებულია ადამიანებზე, ვინც საკუთარ თავს ვამპირად, ელფად, მაქციად და სხვა უბედურებად მიიჩნევს.

– ასეთების უფლებები დღეს დაცული მინიმალურ დონეზეც კი არ არის. საზოგადოება მათ მიმართ ძალიან ნეგატიურადაა განწყობილი. ჩვენი მიზანია ამ ვითარების გამოსწორება, – განმარტავენ პროექტის ავტორები.

კაცო, თუკი კატების, ხოჭოებისა და ბუზების უფლებების დაცვა შეიძლება, აბა, ვამპირებმა რაღა დააშავეს? ჰოდა, ჩვენც წარმატებები ვუსურვოთ რუსებს ვამპირების უფლებებისთვის ბრძოლაში.

*lenta.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მოკლედ, კოტე ჯვარს იწერს. მოათავა მღვდელმა ყველაფერი და ბოლოს სიძემ ჰკითხა:

– რამდენია გადასახდელი, მამაო?

– რა ვიცი, იმდენი გადაიხადე, რამდენიც შენთვის პატარძალი ღირს.

ჩაიყო კოტემ ჯიბეში ხელი, 1-ლარიანი ამოიღო და მამაოს გაუწოდა.

მამაოს გაუკვირდა, აუწია პატარძალს ფატა, შეხედა სახეზე, ახლა თვითონ ჩაიყო ჯიბეში ხელი, 50-თეთრიანი ამოიღო და სიძეს ხურდა დაუბრუნა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"**

ალია
»211359457
კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაძვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.10